



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ): 24.11.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17.01.2023

თბილისი

შინაარსი

I.	4	
II.	აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	6
III.	პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	13
	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	13
	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	31
	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	46
	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	52
	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	68

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიაკონიძე, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფიფია, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ლევიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ბაზაძე, შპს ევროპული სკოლა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მჭედლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი - VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	–
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება N402 2011 წლის 02 დეკემბერი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	–

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴**

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომლის ათვისების შემდეგ, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი. პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები, კერძოდ, 190 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს (სავალდებულო სასწავლო კურსები / კომპონენტები -138 კრედიტი- მათ შორის: პრაქტიკა 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები 52 კრედიტი) და 50 კრედიტი გამოყოფილია თავისუფალი კომპონენტისთვის (სავალდებულო სასწავლო კურსები 30 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსები 20 კრედიტი). თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი 30 კრედიტიდან 20 კრედიტი გამოყოფილია უცხოური ენის (გერმანული და ფრანგული) შესასწავლად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 პერსონალი (16 აკადემიური, 8 მოწვეული).

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2022 წლის 24 ნოემბერს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში.

წინასწარ დაგეგმილი და პროგრამის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ პირებთან და დაათვალიერეს პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა, კოლეგიალურ და სამუშაო გარემოში შეხვედროდა ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს, დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ექსპერტებმა პროგრამის ჯგუფისგან გამოითხოვეს კონკრეტული დამატებითი დოკუმენტაცია და ვიზიტის ბოლოს შეაჯერეს ინტერვიუს შედეგები. დასასრულს, პროგრამის განმახორციელებლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო ბაზარზე არსებობის გამოცდილებისა და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით. მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, პროგრამაში ხორციელდება სასარგებლო ცვლილებები, მაგალითად, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში მოხდა პრაქტიკის კომპონენტის ინტეგრირება. დადებითია პროგრამის კურსდამთავრებულების უკუკავშირიც.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სასწავლო რესურსებით. ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში, ფუნქციონირებს ონლაინ პლატფორმა.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის მუდმივი მზაობა, შეუქმნან სტუდენტებს კეთილგანწყობილი გარემო და, საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდონ კონსულტაციები და რჩევები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა, პროგრამის მიზნების და შედეგების სრულ შესაბამისობაში მოყვანა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის, პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასთან და მისაღწევ ენობრივ კომპეტენციასთან სინქრონიზაცია; პრაქტიკის კომპონენტის სრულყოფა, ცალკეული კურსების შინაარსის დახვეწა, პერსონალისა და სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების დანერგვა-განვითარება, დამსაქმებლების და მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა, სტუდენტური სერვისებისა და ზოგადად ხარისხის კულტურის გაუმჯობესება.

- სტანდარტი 1: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, დაიხვეწოს პროგრამის მიზნის ის ნაწილი, რომელიც ეხება შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას ინგლისურ ფილოლოგიაში და ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონე განისაზღვროს, როგორც მისაღწევი ენობრივი კომპეტენცია და არა როგორც ფილოლოგიის კომპეტენცია.
2. რეკომენდებულია ბაზრის კვლევა ჩატარდეს პროგრამის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
3. პროგრამის მიზნებში ასახული თარგმანის უნარის რეალისტურობისა და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია თარგმანის კომპონენტის გაძლიერება პროგრამის შინაარსში სავალდებულო პრაქტიკული კურსების ინტეგრაციით.
4. რეკომენდებულია პროგრამის მიზანში გათვალისწინებული კულტურის ფართო ცოდნის ფორმირების უზრუნველსაყოფად, კულტურასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები არჩევითი ბლოკიდან გადმოვიდეს სავალდებულო ბლოკში.
5. რეკომენდებულია, პროგრამის პირველი სწავლის შედეგის მიღწევადობის უზრუნველყოფა პროგრამის შინაარსით (ინგლისური ენის საკონტაქტო საათების გაზრდა);
6. რეკომენდებულია, პროგრამის მეორე სწავლის შედეგის მიღწევადობის უზრუნველსაყოფად განისაზღვროს მეორე უცხოური ენის მისაღწევი დონე და მეორე დარგობრივი უცხოური ენის სწავლების კომპონენტი.
7. რეკომენდებულია მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სწავლის შედეგის მიღწევადობისა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად, მოხდეს ამ შედეგების გამსხვილება და გაერთიანება.
8. რეკომენდებულია დამსაქმებლების ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შედეგების შემუშავების პროცესში.
9. რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს და ამოქმედდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისთვის სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, პერიოდულობა და გარე დაინტერესებული მხარეების სწავლის შედეგების შეფასების პროცესებში ჩართვის ფორმები და მექანიზმი.
10. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში მეორე უცხოური ენების ბლოკისთვის უფრო მეტი კრედიტების გამოყოფა, რათა მოხდეს დარგობრივი უცხოური ენის დაუფლებისთვის საჭირო საათობრივი და შინაარსობრივი დატვირთვის უზრუნველყოფა.

11. რეკომენდებულია პროგრამაში გაიზარდოს ინგლისური ენის შესწავლისთვის გამოყოფილი კრედიტები და ზოგადი ინგლისური ენის სწავლება დაიწყოს პირველივე სემესტრიდან.
12. რეკომენდებულია პროგრამაში გადაიხედოს და ლოგიკური თანმიმდევრობით გაისაზღვროს კურსების წინაპირობები.
13. რეკომენდებულია ლიტერატურის ისტორიის კურსებში დაკორექტირდეს სწავლის შედეგები;
14. რეკომენდებულია აკადემიური წერის სილაბუსში გადაიხედოს კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლის შედეგები და სწავლებისა და შეფასების მეთოდები.
15. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში - „ლექსიკოლოგია“, „სტილისტიკა“, „პრესა 1“, „გრამატიკა 2 (B1+)“, „ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის - სამართალი“, „ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისათვის - TOEFL iBT,“ „საუბარი და ლექსიკა 3“ განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.
16. პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის და პროგრამის წინაპირობების მის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, შემუშავდეს და გაიწეროს ენის კომპეტენციის განმსაზღვრელი პროცედურა (სხვა უცხო ენით მიღებული და/ან უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის) და პროგრამა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ინგლისური ენის ინტენსიური კურსის თაობაზე.
17. რეკომენდებულია, პრაქტიკის სილაბუსით/სილაბუსებით განისაზღვროს და დაკონკრეტდეს პრაქტიკის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ვინაობა, პრაქტიკის მიზნები, შინაარსი და მისაღწევი შედეგები.
18. რეკომენდებულია, პრაქტიკის მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.
19. რეკომენდებულია, განხორციელდეს კურსის „IELTS - ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისთვის“, „ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის -სამართალი“ და „თარგმანმცოდნეობის შესავალი“ შეფასების ფორმატის შესაბამისობაში მოყვანა კურსის მიერ დასახულ მიზნებთან, შინაარსსა და შედეგებთან.

20. რეკომენდებულია, პროგრამის საბაკალავრო ნაშრომები შესრულდეს ერთი უნიფიცირებული აკადემიური სტილით და მოხდეს სტუდენტთა წინასწარი ინფორმირება საბაკალავრო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნების შესახებ.
21. პლაგიატის პრევენციის მიზნით, რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომები შემოწმდეს უნივერსიტეტში მოქმედი ანტიპლაგიატის კომპიუტერული პროგრამით.
22. გაუმჯობესდეს კარიერის განვითარების ცენტრის მიერ მიწოდებული სტუდენტური სერვისები.
23. რეკომენდებულია სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა და ამოქმედება.
24. რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების მკვეთრად გამიჯვნა და დელეგირება, რაც პროგრამის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.
25. რეკომენდებულია მოწვეული პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის თვითშეფასებისა და განვითარების პროცესში
26. რეკომენდებულია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
27. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მუშაობა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების და კვლევითი მუშაობის მხარდასაჭერი აქტივობების უზრუნველყოფის მიმართულებით.
28. რეკომენდებულია, სკოლის ბიუჯეტში დაზუსტდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების საპროგნოზო მოცულობა.
29. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდეს სტუდენტთა მიერ კურსების და პროგრამის/განმახორციელებელი პერსონალის ყოველსემესტრული შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების პროცესში;
30. რეკომენდებულია, დამსაქმებლისა და მოწვეული პერსონალის მეტად ჩართულობა უშუალოდ პროგრამის შეფასების პროცესში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;

31. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემატური გამოყენება პროგრამის მონიტორინგის პროცესში, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით;

32. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პროგრამის პერიოდული შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით, სასურველია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო კლუბის მუშაობაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
2. სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნით, მოხდეს პროგრამის შეფასება დარგის ადგილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან;

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

არაფორმალური პრაქტიკის შესაძლებლობად და საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტს აქვს საკუთარი ტელევიზია, სადაც ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ ინგლისურენოვანი რეპორტაჟების მომზადებაში.

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის პოზიციას ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით. აღნიშნულ დასკვნაში გაცემულია 32 რეკომენდაცია და 2 რჩევა. რეკომენდაციების უმრავლესობასთან დაკავშირებით დაწესებულებამ გამოხატა ნაწილობრივ

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

ან სრულიად განსხვავებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ პოზიციაზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია N1 საპასუხოდ, რომელიც ეხება პროგრამის მიზნის იმ ნაწილის დაზუსტებას, სადაც ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონე უნდა იყოს მითითებული, როგორც მისაღწევი ენობრივი კომპეტენცია და არა როგორც ფილოლოგიის კომპეტენცია, დაწესებულებამ განმარტა, რომ პროგრამის მიზნის ნაწილში „ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონე“ სწორედ ამას გულისხმობს, რაც მათ ინტერვიუების დროსაც დაგვიდასტურეს. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მიზნის ამ ნაწილის უფრო ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ტოვებს რეკომენდაციას პროგრამის მიზნებში მკაფიოდ გამოიკვეთოს ინგლისური ენის ცოდნის დონე ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონის შესაბამისად.

რეკომენდაცია N2 საპასუხოდ, რომელიც ეხება ბაზრის კვლევის ჩატარებას პროგრამის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ მათ ბაზრის კვლევა დაუკვეთეს გამოყენებითი კვლევები კომპანიას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგეილ არგუმენტებზე პოზიციაში ვკითხულობთ, რომ ბაზრის კვლევის მიზანი იყო ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კომპონენტების შესაბამისობის დადგენა შრომის ბაზრის და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნებთან. მათი განცხადებით, სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია ბაზრის კვლევის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფი ჯერ კიდევ ვიზიტის განხორციელებამდე გაეცნო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ბაზრის კვლევის შედეგებს და სწორედ რეკომენდაციის ფარგლებში განიხილავდა ჩატარებული ბაზრის კვლევაში პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებას. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას, რადგან კვლევის შედეგების მიხედვით, „მოთხოვნადი ხდება ქვეყნის მოქალაქეებში ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლება და შესაბამისად მოთხოვნადია ინგლისური ენის პედაგოგები“ (ბაზრის კვლევის დოკუმენტი, გვ.7). თვითშეფასების გუნდის მიერ მომზადებულ ანგარიშის მიხედვით, ბაზრის კვლევის შედეგები იქნა გამოყენებული ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მიზნების შემუშავებისას, თუმცა, ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ აღინიშნა, რომ დაკვეთილი ბაზრის კვლევა არ აღმოჩნდა პროგრამის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი, რაც ლოგიკურია, რადგან ჩატარებული კვლევა იმთავითვე ინგლისური ენის მცოდნე პირების მოთხოვნადობის შეფასებას ისახავდა მიზნად და არა ინგლისურის

ფილოლოგის, რაც აღნიშნულია წარმოდგენილი ბაზრის კვლევის შესავალ ნაწილში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია N2 რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია N3 საპასუხოდ, რომელიც ეხება პროგრამის შინაარსში სავალდებულო პრაქტიკული კურსების ინტეგრაციით თარგმანის კომპონენტის გაძლიერებას, პროგრამის მიზნებში ასახული თარგმანის უნარის რეალისტურობისა და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს ერთადერთი სავალდებულო კურსით „შესავალი თარგმანმცოდნეობაში“ და ინგლისური ენა 4, ინგლისური ენა 5, და ინგლისური ენა 6 სასწავლო კურსებში შესრულებული თარგმანის დავალებებით პროგრამის მიზანი არის რეალისტური და მიღწევადი. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას, რადგან მიგვაჩნია, რომ პროგრამაში თარგმანმცოდნეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევა ვერ იქნება რეალისტური მხოლოდ ამ ერთი სავალდებულო საგნის ფარგლებში (სადაც თარგმანი მხოლოდ ინგლისურიდან ქართულად ხდება). აქვე განვმარტავთ, რომ თარგმანის კომპონენტი ნამდვილად არის გაჟღერებულია ინგლისური ენა 4, ინგლისური ენა 5 და ინგლისური ენა 6 სასწავლო კურსების (შემდეგ ასპექტებში: პრესა, ტექსტის ინტერპრეტაცია, ბიზნეს ინგლისური, FCE სერთიფიკატი) მხოლოდ მიზნებში და შედეგებში, თუმცა, არსად ხდება ამ უნარის შემოწმება, გაზომვა-შეფასება.

რეკომენდაცია N4 საპასუხოდ, რომელიც ეხება პროგრამის მიზანში გათვალისწინებული კულტურის ფართო ცოდნის ფორმირების უზრუნველყოფის მიზნით კულტურასთან დაკავშირებული საგნების არჩევითი ბლოკიდან სავალდებულო ბლოკში გადმოტანას, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ ინგლისური ენა 4, 5, 6 და ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1,2,3 ითვალისწინებს კულტურასთან დაკავშირებულ თემატიკას. მსგავსი თემატიკით გაჯერებულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტი, რომელშიც ინტეგრირებულად ისწავლება როგორც ენის, ასევე ისტორიის, კულტურის, თარგმანის და სხვა შესაბამისი საკითხები. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას, რადგან მიგვაჩნია, რომ კულტურასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ ფრაგმენტულად იკვეთება ლიტერატურის ისტორიის კურსებში. ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსები : ინგლისური ენა 4- B1, ინგლისური ენა 5 - B1+ და ინგლისური ენა 6 - B2 მოიცავენ ისეთ ასპექტებს, როგორცაა ტექსტის ინტერპრეტაცია, ბიზნეს ინგლისური, პრესა და სერთიფიკატი (FCE). ამ სასწავლო კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებში არ იკვეთება „კულტურასთან დაკავშირებული ფართო ცოდნის ფორმირება“. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კულტურასთან დაკავშირებული საკითხები ისწავლება შემდეგ საგანში *‘შესავალი გერმანიკული ენების შედარებით ანალიზში’*, რომელიც არის პროგრამის

არჩევითი საგანი. აღნიშნულ კურსის სილაბუსის მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი უმნიშვნელოდ ეხმიანება ენის შესწავლის კულტურულ საკითხებს. პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი იზიარებენ ენის შესწავლის პროცესში კულტურასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრაციის მნიშვნელობას. მიგვაჩნია, რომ კულტურასთან დაკავშირებული ფართო ცოდნის ფორმირებისთვის აუცილებელია კულტურასთან დაკავშირებული ცალკე სავალდებულო კურსის შემუშავება პროგრამის ფარგლებში.

რეკომენდაცი N5 საპასუხოდ, რომელიც ეხება პროგრამის პირველი სწავლის შედეგის მიღწევადობის უზრუნველყოფას პროგრამის შინაარსით (ინგლისური ენის საკონტაქტო საათების გაზრდა), უნივერსიტეტი განმარტავს, რომ ინგლისური ენის შესწავლისთვის პროგრამაში გამოყოფილია 48 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს B2 დონის მიღწევას. ესპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას. პროგრამის პირველი შედეგის, რომელიც გულისხმობს ინგლისური ენის დაუფლებას სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონის შესაბამისად, მიღწევადობა და რეალისტურობა ბუნდოვანია პროგრამაში ჩარიცხვის წინაპირობებისა და ინგლისური ენის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება 4 უცხო ენიდან ერთ-ერთის ჩაბარებით, რაც განაპირობებს ინგლისური ენის არმცოდნე ან ინგლისურ ენაში დაბალი კომპეტენციის მქონე სტუდენტების პროგრამაზე მიღებას. უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს აღნიშნული გარემოებები და აღნიშნეს, რომ მოცემულ პროგრამაზე 4 უცხო ენით მიღების შესაძლებლობა გამოწვეული იყო არსებულ კონკურენციასთან გამკლავების სურვილით. მათ ასევე დასძინეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მზად არიან, სტუდენტებს ჩაუტარონ ენის კომპეტენციის დასადგენი ტესტირება და პროგრამის კურიკულუმს გარეთ, შესთავაზონ ინგლისური ენის ინტენსიური კურსი დამატებითი ფინანსური ვალდებულების დაკისრების გარეშე ერთი სემესტრის განმავლობაში (მეორე სემესტრიდან ხორციელდება სავალდებულო კურსები, რომლებიც ინგლისური ენის B1 დონიდან იწყება), თუმცა, ასეთი კურსის სილაბუსი, საათობრივი დატვირთვა ან განმახორციელებლები ჯერ არ არის განსაზღვრული და არც პროცედურულად გაწერილი. აღნიშნული გარემოებები საფრთხეს უქმნის პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას და აფერხებს ლოგიკურ კავშირს პროგრამის წინაპირობებს, მის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის. ამასთან, სტუდენტები ინგლისური ენის შესწავლას B1 დონეზე იწყებენ მეორე სემესტრში. ამ დონისთვის განკუთვნილია ორი სემესტრი - 240 საკონტაქტო საათი, მაშინ როცა B2 დონის დასაფარად გამოყოფილია მხოლოდ 120 საკონტაქტო საათი ერთი სემესტრის განმავლობაში. სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით,

საკონტაქტო საათები დონეების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: A2- 180–200 საათი; B1- 350–400 საათი; B2- 500–600 საათი. ანუ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით B2 დონის მისაღწევად უფრო მეტი საკონტაქტო საათები არის საჭირო. ინტერვიუს დროს ამ მოსაზრებას დაეთანხმა აკადემიური პერსონალი. სტუდენტებთან ინტერვიუსას კი გამოვლინდა, რომ სტუდენტების უმრავლესობას უჭირს ინგლისურ ენაზე მარტივი კომუნიკაცია.

რეკომენდაცია N6 საპასუხოდ, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის მეორე სწავლის შედეგის მიღწევადობის უზრუნველყოფის მიზნით მეორე უცხოური ენის მისაღწევი დონისა და მეორე დარგობრივი უცხოური ენის სწვალების კომპონენტის განსაზღვრას, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ პროგრამაში არ არის განსაზღვრული მეორე უცხო ენის დარგობრივი სწავლება, რაც წინააღმდეგობაში მოდის პროგრამის მეორე სწავლის შედეგთან: „აღწერს ფილოლოგიის სფეროსა და **დარგობრივი ენის** (პრესა, ბიზნესი და სხვა) ძირითად ტერმინოლოგიას ქართულ, ინგლისურ და **მის მიერ არჩეულ უცხოურ ენაზე**, ტექსტის თარგმანის სპეციფიკას”. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში გათვალისწინებული უცხოური ენების (გერმანული და ფრანგული) ბლოკისთვის განკუთვნილი 20 კრედიტი არ არის დარგობრივი უცხოური ენისთვის საკმარისი. ამასთან წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით, ყველაზე მაღალი დონე რასაც შეიძლება მიაღწიოს სტუდენტმა ამ ოთხ სემესტრში არის B1+ დონე, თუმცა, პროგრამით არ არის განსაზღვრული უცხოური ენის დონე, რომელსაც უნდა მიაღწიოს სტუდენტმა პროგრამის დასრულებისას. აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტს შეუძლია, შეიცვალოს არჩეული უცხოური ენა. შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში დეკლარირებული ერთ-ერთი სწავლის შედეგი: „სტუდენტის უნარი, აღწეროს ფილოლოგიის სფეროსა და დარგობრივი ენის (პრესა, ბიზნესი და სხვა) ძირითადი ტერმინოლოგია მის მიერ არჩეულ მეორე უცხო ენაზე”, არ არის მიღწევადი და რეალისტური. კურსის განმახორციელებელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამა დარგობრივი მეორე უცხო ენის შესწავლას არ ითვალისწინებს და შეუძლებელია ამისი უზრუნველყოფა 20 კრედიტით (იმ შემთხვევაშიც კი თუ სტუდენტი არჩეულ ენას ბოლომდე გაყვება).

რეკომენდაცია N7 საპასუხოდ, რომელიც ითვალისწინებს მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სწავლის შედეგების გამსხვილებას და გაერთიანებას მათი მიღწევადობისა და გაზომვადობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ ეს სამივე შედეგი შეესაბამება ენის დარგობრივ მახასიათებელს, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფიც აღნიშნავს შეფასების

ნაწილში. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას, რადგან თვლის, რომ ამ სწავლის შედეგებში იკვეთება გადაფარვა, რადგან სამივე სწავლის შედეგი გულისხმობს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის (მათ შორის დარგობრივ სფეროში) განვითარებას (*„...5. იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხს, როგორც დარგის სპეციალისტებთან, ასევე პროფესიულ წრეებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი კომუნიკაციისას; 6. მონაწილეობს დიალოგსა და დისკუსიაში ინგლისურ ენაზე, არგუმენტირებულად იცავს საკუთარ მოსაზრებებს შესაბამისი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებით; 7. იყენებს ინგლისურ ენაზე სპეციფიურ დარგობრივ ლექსიკას, შესაბამისი დონის ტერმინოლოგიას, როგორც წერილში, ისე ზეპირი კომუნიკაციისას*). შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია ამ სწავლის შედეგების გაერთიანება და გამსხვილება კომუნიკაციის კომპეტენციის ქვეშ.

რეკომენდაცია N8 საპასუხოდ, რომელიც ითვალისწინებდა დამსაქმებლების ჩართულობის უზრუნველყოფას პროგრამის შედეგების შემუშავების პროცესში, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა ბაზრის კვლევა და პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია დასაქმების ბაზრის არსებული მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას, რადგან აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა დამსაქმებლის ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროს შეხვდა დამსაქმებელს, რომელმაც აღნიშნა, რომ ის არ იცნობს პროგრამას და არ მიუღია სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში მონაწილეობა. პროგრამის განმახორციელებლებმა და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ დამსაქმებლების ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში მათთვის გამოწვევას წარმოადგენს. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის და მათ შორის დამსაქმებლების ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია N9 საპასუხოდ, რომელიც ითვალისწინებს პროგრამისთვის სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებისა და პერიოდულობის განსაზღვრას და გარე დაინტერესებული მხარეების სწავლის შედეგების შეფასების პროცესებში ჩართვის ფორმებისა და მექანიზმის შემუშავებას, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდები გაწერილი აქვთ, ხოლო არაპირდაპირი სწავლის შედეგების შეფასების ფორმებს და მექანიზმებს შეიმუშავებენ საჭიროების შემთხვევაში. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს კონკრეტულად ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების ფორმები და მეთოდები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია მხოლოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის

შედეგების შეფასების გეგმა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მოცემულია შემდეგი სასწავლო კურსების შეფასების გეგმა: ინგლისური ენა ნ, ინგლისური ლიტერატურის ისტორია 4, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი. გეგმაში ჩანს შემფასებელი პირები (ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), სტუდენტთა რაოდენობა მითითებულია 100%-ით, შეფასების პერიოდულობად მოცემულია საბაკალავრო პროგრამის დასრულება, მოცემულია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. დოკუმენტში არ არის ახსნილი თუ რა მეთოდებით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულობად მითითებულია საბაკალავრო პროგრამის დასრულება, გაუგებარია როდის მოხდება ამ სწავლის შედეგებზე დაკვირვება. პროგრამის ძირითად სავალდებულო საგნებში მოცემულია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ფორმები - შეფასებისას თუ რომელი კომპონენტით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება, თუმცა, არ არის მოცემული სამიზნე ნიშნულები თუ რა შემთხვევაში იქნება სწავლის შედეგები მიღწეული ამ საგნის ფარგლებში.

რეკომენდაცია N10 საპასუხოდ, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სტრუქტურაში მეორე უცხოური ენების ბლოკისთვის უფრო მეტი კრედიტების გამოყოფას, რათა მოხდეს დარგობრივი უცხოური ენის დაუფლებისთვის საჭირო საათობრივი და შინაარსობრივი დატვირთვის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტი ისევ განმარტავს, რომ პროგრამაში არ არის განსაზღვრული მეორე უცხო ენის დარგობრივი სწავლება, რაც წინააღმდეგობაში მოდის პროგრამის მეორე სწავლის შედეგთან: „აღწერს ფილოლოგიის სფეროსა და **დარგობრივი ენის** (პრესა, ბიზნესი და სხვა) ძირითად ტერმინოლოგიას ქართულ, ინგლისურ და **მის მიერ არჩეულ უცხოურ ენაზე**, ტექსტის თარგმანის სპეციფიკას;” ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მეორე სწავლის შედეგის მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში უფრო მეტი კრედიტი დაეთმოს დარგობრივ უცხოურ ენას (რომელშიც გათვალისწინებული იქნება ენის გადარჩევის შემთხვევაც და სტუდენტისთვის მისაღწევი დონე). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის პოზიციას.

რეკომენდაცია N11 საპასუხოდ, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაში ინგლისური ენის შესწავლისთვის გამოყოფილი კრედიტები გაზრდას და ზოგადი ინგლისური ენის სწავლება დაწყებას პირველივე სემესტრიდან, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ ეს რეკომენდაცია გარკვეულწილად იმეორებს მეხუთე რეკომენდაციას. ცხადია, ეს საკითხი გაჟღერდა პროგრამის პირველი სწავლის შედეგის მიღწევასთან დაკავშირებით, სადაც უნივერსიტეტი არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს. თუმცა, ამ შემთხვევაში იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რომ ზოგადი ინგლისური ენის B2 დონის მიღწევის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს პროგრამაში ინგლისური ენის შესწავლისთვის გამოყოფილი კრედიტები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის მეორე ნაწილს, რომელიც შეეხება ზოგადი ინგლისური ენის სწავლების დაწყებას პირველივე სემესტრიდან, არ იზიარებს უნივერსიტეტი. მათი განმარტებით, პირველ სემესტრში შეთავაზებული შესავალი სასწავლო კურსები „ენათმეცნიერების შესავალი“, „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“, „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში“, „ფონეტიკა და აუდირება“ ენობრივი კომპეტენციის გაღრმავებას ემსახურება. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ამ მოსაზრებას, რადგან თვლის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსები არ ემსახურება ენობრივი კომპეტენციის განვითარებას არა თუ გაღრმავებას.

რეკომენდაცია N12 რომელიც ითალისწინებს კურსების წინაპირობების ლოგიკური თანმიმდევრობით განსაზღვრას სრულად იქნა გაზიარებული უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდაცია N13 რომელიც ითალისწინებს ლიტერატურის ისტორიის კურსებში სწავლის შედეგების დაკორექტირებას სრულად იქნა გაზიარებული უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდაცია N14 რომელიც ითალისწინებს აკადემიური წერის სილაბუსში კურსის მიზნის, შინაარსის, სწავლის შედეგების და სწავლებისა და შეფასების მეთოდების გადახედვას სრულად იქნა გაზიარებული უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდაცია N15 საპასუხოდ, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ სასწავლო კურსებში - „ლექსიკოლოგია“, „სტილისტიკა“, „პრესა 1“, „გრამატიკა 2 (B1+),“ „ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის - სამართალი“, „ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისათვის - TOEFL iBT,“ „საუბარი და ლექსიკა 3“ განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა, უნივერსიტეტმა განმარტა, რომ ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა სრულფასოვნად უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევადობას. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მწირია თანამედროვე ლიტერატურა სტილისტიკასა და ლექსიკოლოგიაში. ლექსიკოლოგიის არსებულ სასწავლო კურსში მითითებულია რუსული გამომცემლობის სახელმძღვანელო (Babich G.N (2016). *Lexicology: A Current Guide*. “Flinta”, Moscow, Russia.). თუმცა, არსებობს უახლესი გამოცემის სახელმძღვანელოები, რომელიც დარგში აღიარებული გამომცემლობების მიერ არის გამოცემული: 1. Laurie, Bouer, 2021. *An Introduction to English Lexicology* (Edinburgh Textbooks on the English Language). Edinburgh University Press. 2. Howard Jackson, Etienne Ze Amvela, 2021. *An Introduction to English Lexicology*. Bloomsbury Publishing. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ლექსიკოლოგიის განახლებულ ლიტერატურაში მოიპოვება ინფორმაცია მაგალითად,

სიტყვათა სესხების თანამედროვე ტენდენციების შესახებ ინგლისურ ენაში, რაც ლექსიკოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.

ასევე, სტილისტიკაში თანამედროვე მიდგომებს ასახავს შემდეგი სახელმძღვანელო: Alison Gibbons, Sara Whiteley, 'Contemporary Stylistics: Language, Cognition, Interpretation', Edinburgh University Press, 2018; ასევე, 'The Cambridge Handbook of Stylistics (Cambridge Handbooks in Language and Linguistics)' by Peter Stockwell & Sara Whiteley (Editors), Cambridge University Press, 2014. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული (ლიცენზირებული), ასევე ბეჭდური ფორმით.

უნივერსიტეტის განმარტებით, სხვა სასწავლო კურსებთან მიმართებით ლიტერატურა განახლება საჭიროების შემთხვევაში, რაც ბუნდოვანს ხდის, ეთანხმება თუ არა უნივერსიტეტი ექსპერტთა ჯგუფის ამ მოსაზრებას.

რეკომენდაცია N 17 – 18 საპასუხოდ, რომლებიც ითალისწინებს პრაქტიკის მიზნების, შედეგების, ხანგრძლივობის და ასევე პრაქტიკის ხელმძღვანელის ვინაობის განსაზღვრის საჭიროებას, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ პრაქტიკის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის მხრიდან, ისევე როგორც მენტორი პრაქტიკის ობიექტზე, შეირჩევა უშუალოდ პრაქტიკაზე გაგზავნის წინ. ასევე, უნივერსიტეტი ადასტურებს ჩვენს მიერ უკვე დასკვნაში აღნიშნულ ფაქტს, რომ პრაქტიკის სილაბუსს, ისევე როგორც პრაქტიკის ობიექტებთან გაფორებულ მემორანდუმებს გააჩნიათ ზოგადი ხასიათი და რომ ხელმძღვანელის, მენტორის, ვადების, სტუდენტთა რაოდენობის და ა. შ. გაზუტება/ დაკონკრეტება ხდება ხელშეკრულებით, უშუალოდ პრაქტიკაზე სტუდენტთა გაგზავნის წინ, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე.

ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს აღნიშნულ პოზიციას. უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკის მიზნის, შედეგების, ხელმძღვანელის, ხანგრძლივობისა და სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა შესაბამისი სილაბუსითა და მემორანდუმით არის აკრედიტაციის შესაბამისი ქვესტანდარტის (2.2.) მოთხოვნა. ამასთან, როგორც დასკვნაში უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტის მიერ დასახელებული პრაქტიკის 5 ობიექტიდან, ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა, გასაუბრებოდა მხოლოდ ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ სდასუ-ს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამასთან ჯერ მათ ასეთი თანამშრომლობის გამოცდილება არ აქვთ, თუმცა, ზოგადად, თუ რა სახის/შინაარსის/ხანგრძლივობის პრაქტიკა შეიძლება შესთავაზონ ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს, ორგანიზაციას უკვე დიდი ხანია დადგენილი აქვს, და მისი შინაარსი არ იცვლება. შესაბამისად, პრაქტიკის აღნიშნული დეტალების წინასწარ

განსაზღვრა (და არა პრაქტიკაზე გაგზავნის დროს „არსებული საჭიროებისამებრ“) დადგენა, სრულიად შესაძლებელია.

კიდევ უფრო პრობლემურია უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ერთ-ერთი მემორანდუმი, რომლის შინაარსი სტუდენტთა პრაქტიკაზე მიღებას მხოლოდ გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით განახორციელებს, რაც საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებს ამ ობიექტზე სტუდენტთა პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე-17 და მე-18 რეკომენდაცია, ისევე როგორც ქვესტანდარტის შეფასება რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია N19 დაკავშირებით, დაწესებულება არ იზიარებს რეკომენდაციის იმ ნაწილს, რომელიც ეხება ინგლისური ენა სპეციფიკური მიზნებისთვის - „სამართალი“ რეკომენდაციას. უნივერსიტეტის პოზიციით, ვინაიდან კურსი არ გულისხმობს ILEC გამოცდისთვის მომზადებას, ლექტორს აკადემიური დისკრეციის ფარგლებში, შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ დაგეგმოს კურსის შეფასების მეთოდები.

ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს ამ არგუმენტს, ვინაიდან კურსის სილაბუსი მოიცავს ჩანაწერს, რომ „ინგლისური ენა სპეციფიკური მიზნებისთვის -სამართალი“ კურსის მიზანია საერთო ევროპული ჩარჩოს (ILEC) მიერ განსაზღვრული ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა“, ხოლო შეფასების მეთოდები არათუ არ ითვალისწინებს ILEC გამოცდით განსაზღვრული შეფასების მეთოდებს, არამედ მისი ფინალური გამოცდა მხოლოდ წერითი ფორმითაა წარმოდგენილი, რაც არ შეესაბამება კურსის მიერ დეკლარირებული 4 ენობრივი უნარის შემოწმება/შეფასების განზრახვას. რაც შეეხება უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულ ფაქტს, რომ ILEC-გამოცდა გაუქმებულია, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის დროსაც საქმის კურსში იყო, რომ გამოცდა შეჩერებულია 2016 წლის შემდეგ. როგორც მოგეხსენებათ ეს სრულიად ღია და ხელმისაწვდომი ინფორმაციაა საერთაშორისო გამოცდების ოფიციალურ ვებ გვერდზე, თუმცა, აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველს ეს ფაქტი ვერ ცვლის. თუ კურსი არ იზიარებს აღნიშნული გამოცდის ფარგლებში შემოთავაზებულ შეფასების ფორმატს, მაშინ, აღნიშნული კურსის მიზნები საჭიროებს შესწორებას, რაც პრინციპში იყო კიდევ გაჟღერებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაცია N19-ში, კურსის მიზნების, შინაარსის და შეფასების ფორმატის შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

რეკომენდაცია N20 საპასუხოდ, საბაკალავრო ნაშრომების ერთ უნიფიცირებულ სტილში შესრულების შესახებ, დაწესებულება აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი

დოკუმენტაცია და წესები, რომლებიც მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ყველა საჭირო ინსტრუქციას, თუმცა, წარმოდგენილ საბაკალავრო ნაშრომებში, როგორც დასკვნაში უკვე აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახდინა საერთო სტანდარტით შესრულებული საბაკალავრო ნაშრომების იდენტიფიკაცია. რაც შეეხება უნივერსიტეტის პოზიციას, რომ საბაკალავრო ნაშრომების ერთი უნიფიცირებული აკადემიური სტილით შესრულება არ წარმოადგენს კანონმდებლობის მოთხოვნას, აკრედიტაციის 2.4 ქვესტადარტი მოიცავს ასეთ ჩანაწერს: „ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისათვის და გათვალისწინებულია სტუდენტთა ნაშრომების შეფასებისას.“

აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია N20 რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია N21 საპასუხოდ, რომელიც საბაკალავრო ნაშრომების ანტიპლაგიატის კომპიუტერულ პროგრამაზე შემოწმების საჭიროებას გულისხმობს, უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ იგი, პლაგიატის პრევენციასა და აღმოჩენაზე, ისევე როგორ ნაშრომის სტრუქტურასა და აქტუალობაზე, სრულ პასუხისმგებლობას ნაშრომის ხელმძღვანელს აკისრებს. დღევანდელი ციფრული ტექნოლოგიების და უზარმაზარი ინტერნეტ ღია სივრცის პირობებში, ამ ამოცანის მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სრულფასოვნად შესრულება არარეალურად მიგვაჩნია. იმ პირობებში, როცა უნივერსიტეტში მოქმედი კომპიუტერული პროგრამა „Strikeplagiarism“ საშუალებით ანტიპლაგიატზე ახდენს კვლევითი ნაშრომების (სტატია, სამაგისტრო ნაშრომი, სადოქტორო ნაშრომი) შემოწმებას, ლოგიკურია, შესაბამის ყურადღებას საჭიროებს საბაკალავრო ნაშრომიც, ვინაიდან სწორედ საბაკალავრო ნაშრომის ჯეროვნად შესრულება წარმოადგენს სტუდენტებში აკადემიური ეთიკის და კეთილსინდისიერების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია 19, 20, 21 და შესაბამისი ქვესტანდარტის შეფასება, რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია 24-ზე უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციის საპასუხოდ, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებსთვის, საჭიროა პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქციების მკვეთრად გამიჯვნა და დელეგირება. მათი უფლება-მოვალეობები გაწერილია დოკუმენტურად, რაც პრაქტიკაში ფაქტიურად არ ხორციელდება. პროგრამის ხელმძღვანელებში სწორად გადანაწილებული ფუნქციები საშუალებას მისცემს ხელმძღვანელებს თანამშრომლურ გარემოში წარმართონ საქმიანობა.

რეკომენდაცია 28

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე გამოყოფილი დამატებითი (საჭიროების შემთხვევაში) ფინანსური რესურსისა და საპროგნოზო ბიუჯეტის მოცულობის დაზუსტება ვერ მოხერხდა დოკუმენტაციით. ექსპერტების მიერ გამოთხოვნილ დოკუმენტაციაში შესაბამისი მტკიცებულება ვერ მოიძებნა. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

რეკომენდაცია N29

მოცემულ რეკომენდაციაზე უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის საპასუხოდ უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს გაწერილი აქვს აღნიშნული პროცედურა და ასევე გააჩნია საჭირო ფორმალური დოკუმენტაცია (მათ შორის კითხვარები, შეფასების ფორმები). თუმცა, აღნიშნული პროცედურის პრაქტიკულად განხორციელება არ დადასტურდა არც ერთი დაინტერესებული მხარის მიერ. ამასთან, უნივერსიტეტის მხრიდან აღინიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ეს პროცესი შეჩერებულია. შესაბამისად, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უნდა მოხდეს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

რეკომენდაცია 30

მოწვეული პერსონალისა და დამსაქმებლის ნაკლები ჩართულობა პროგრამის შეფასების ფარგლებში ინტერვიუების დროს გამოკვეთილი პრობლემა იყო. მათი აქტიური ჩართულობა და კონტრიბუცია აუცილებელი პირობაა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. აქედან გამომდინარე ეს რეკომენდაციაც რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია N31

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია, განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური გამოყენება პროგრამის მონიტორინგის პროცესში, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით

რეკომენდაციის საპასუხოდ, დაწესებულება ამბობს, რომ „ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ზუსტად ასახავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიდგომას უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვის და განვითარების მიზნით“. აღნიშნული ფორმულირებიდან ნათლად არ ჩანს, ეთანხმება თუ არა დაწესებულება ექსპერტთა რეკომენდაციას. შესაბამისად, აქვე დავაზუსტებთ, რომ მოცემული რეკომენდაცია გულისხმობს უნივერსიტეტში ფორმალურად არსებული ხარისხის მექანიზმების პრაქტიკულად და სისტემატიურად გამოყენებას, რათა მოხდეს პროგრამის მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2011 წელს. ამ დროდან მოყოლებული პროგრამა განიცდის გარკვეულ ცვლილებებს დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით. მათ შორის აღსანიშნავია საბიბლიოთეკო სასწავლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა, დისტანციური სწავლების უზრუნველყოფის მიზნით ონლაინ პლატფორმის სასწავლო პროცესში დანერგვა, პროფესიული პრაქტიკის ინტეგრაცია პროგრამაში.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ეხმიანება უნივერსიტეტის მისიას, მიზანსა და სტრატეგიას. უნივერსიტეტის მისია და პროგრამის მიზანი ითვალისწინებს

სტუდენტების საერთაშორისო ბაზარზე დასაქმებას და მათ მომზადებას იმ ცვლილებებისთვის, რომლის პირობებში მოუწევთ მათ მომავალი საქმიანობა.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტმა გამოყენებით კვლევით კომპანიას დაუკვეთა ბაზრის კვლევა. წარმოდგენილ ბაზრის კვლევის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევის მიზანი იყო, შეესწავლათ თუ რამდენად მოთხოვნილია ადგილობრივ ბაზარზე ინგლისური ენის ცოდნა და არა ინგლისური ფილოლოგია. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლები: ბიზნეს ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო დაწესებულებები. პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებით გამოიკვეთა ყველაზე მოთხოვნილი უნარები: დოკუმენტების თარგმნა (74,8%), საქმიანი კორესპონდენციის წარმოება (72%), ანგარიშების მომზადება (63,6%), სფეროსთვის მნიშვნელოვანი ტექნიკური დოკუმენტების /მასალების გაცნობა (60,7%) (ბაზრის კვლევის დოკუმენტი, გვ.13). კვლევის შედეგების მიხედვით, „მოთხოვნილი ხდება ქვეყნის მოქალაქეებში ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლება და შესაბამისად მოთხოვნილია ინგლისური ენის პედაგოგები” (ბაზრის კვლევის დოკუმენტი, გვ.7). თვითშეფასების გუნდის მიერ მომზადებულ ანგარიშის მიხედვით, ბაზრის კვლევის შედეგები იქნა გამოყენებული ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მიზნების შემუშავებისას, თუმცა, ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ აღინიშნა, რომ დაკვეთილი ბაზრის კვლევა არ აღმოჩნდა პროგრამის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი, რაც ლოგიკურია, რადგან ჩატარებული კვლევა იმთავითვე ინგლისური ენის მცოდნე პირების მოთხოვნადობის შეფასებას ისახავდა მიზნად და არა ინგლისურის ფილოლოგიის. თუმცა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, ამ კვლევის ზოგიერთი რეკომენდაცია მაინც იქნა გათვალისწინებული პროგრამაში, როგორცაა, მაგალითად, მაღალი მოთხოვნა თარგმნის კომპეტენციების მქონე პროფესიონალებზე, რაც ასევე გახლდათ სტუდენტების და კურსდამთავრებულების სურვილი, როგორც ეს არაერთგზის აღინიშნა პროგრამის განმახორციელებლების მიერ. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მოხდა პროგრამის ერთ-ერთ მიზნად თარგმანის განსაზღვრა, თუმცა, წარმოდგენილ პროგრამაში თარგმანის კომპეტენციის მიღწევა, ექსპერტთა მოსაზრებით, პრობლემურია, ვინაიდან, თარგმანის კომპონენტი არ არის საკმარისად ასახული პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურაში. იგი მხოლოდ ერთი სავალდებულო საგნით შემოიფარგლება - *შესავალი თარგმანმცოდნეობაში*. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამაში თარგმანმცოდნეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევა ვერ იქნება რეალისტური მხოლოდ ამ ერთი სავალდებულო საგნის ფარგლებში (სადაც თარგმანი მხოლოდ ინგლისურიდან ქართულად ხდება). აქვე აღვნიშნავთ, რომ თარგმანის კომპონენტი გაჟღერებულია კიდევ სხვა სამი საგნის

მხოლოდ მიზნებში და შედეგებში, კერძოდ: 'ინგლისური ენა 4, ინგლისური ენა 5 და ინგლისური ენა 6-ის' შემდეგ ასპექტებში: პრესა, ტექსტის ინტერპრეტაცია, ბიზნეს ინგლისური, FCE სერთიფიკატი, თუმცა, არსად ხდება ამ უნარის შემოწმება, გაზომვა-შეფასება.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ერთ-ერთი მიზანია „მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტი ინგლისურ ფილოლოგიაში, ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონის შესაბამისად” (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, გვ.2). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთმოყვანილი ერთიანი ევროპული ჩარჩოს დოკუმენტი ითვალისწინებს ენის დაუფლების კომპეტენციის დონეებად განსაზღვრას, შესაბამისი მეთოდოლოგიისა და მიდგომების გამოყენებას ენის შესწავლის პროცესში (<https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions>). შესაბამისად, ინგლისური ფილოლოგია, როგორც დარგი, ვერ იქნება (CEFR) B2 დონის შესაბამისად განვითარებული. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ მიზნის ამ ნაწილში თვითშეფასების გუნდი გულისხმობდა CEFR-ის მიხედვით ინგლისური ენის B2 დონეზე ათვისებას. მიზანშეწონილია, ეს ნაწილი ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნებში და გამოიკვეთოს ინგლისური ენის ცოდნის დონე ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონის შესაბამისად.

პროგრამა ასევე მიზნად ისახავს, სტუდენტს შესძინოს ისტორიულ-კულტურული განვითარების პროცესების ფართო ცოდნა, რაც გამომდინარეობს სწავლის სფეროს კლასიფიკატორიდან და ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლიდანაც. კულტურასთან დაკავშირებული საკითხები ფრაგმენტულად იკვეთება სხვადასხვა სასწავლო კურსებში, მაგალითად ლიტერატურის ისტორიის საგნებში, თუმცა, პროგრამა არ მოიცავს კულტურასთან დაკავშირებულ ცალკე სავალდებულო კურსს. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კულტურასთან დაკავშირებული საკითხები ისწავლება შემდეგ საგანში *‘შესავალი გერმანიკული ენების შედარებით ანალიზში’*, რომელიც არის პროგრამის არჩევითი საგანი. აღნიშნულ კურსის სილაბუსის მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი უმნიშვნელოდ ეხმიანება ენის შესწავლის კულტურულ საკითხებს. პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი იზიარებენ ენის შესწავლის პროცესში კულტურასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრაციის მნიშვნელობას.

რეკომენდებულია, პროგრამის მიზანში გათვალისწინებული კულტურის ფართო ცოდნის ფორმირების უზრუნველსაყოფად, კულტურასთან დაკავშირებული საგნები არჩევითი ბლოკიდან გადმოვიდეს სავალდებულო ბლოკში.

პროგრამის მიზანი - მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტი, მისცეს სტუდენტს ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა, სათანადო წვლილი შეიტანოს მულტიკულტურული გარემოს ფორმირებაში _ ეხმიანება ინტერნაციონალიზაციის საკითხებს. თუმცა, რეალური აქტივობები ამ მიმართულებით ჯერჯერობით არ განხორციელებულა. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმხორციელებლები აცნობიერებენ ამ გამოწვევას და გეგმავენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით (დეტალური ინფორმაცია შესაბამისი რეკომენდაციით მოცემულია ქვესტანდარტში 3.1).

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, პროგრამის კატალოგში განთავსებულია ინგლისური ფილოლოგიის მოქმედი პროგრამა. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები;
- ბაზრის კვლევა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ვებ-გვერდი;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა ([ლინკი](#));
- CEFR დოკუმენტი- ([ლინკი](#));
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს პროგრამის მიზნის ის ნაწილი, რომელიც ეხება შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას ინგლისურ ფილოლოგიაში და ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონე განისაზღვროს, როგორც მისაღწევი ენობრივი კომპეტენცია და არა როგორც ფილოლოგიის კომპეტენცია.
- რეკომენდებულია ბაზრის კვლევა ჩატარდეს პროგრამის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- პროგრამის მიზნებში ასახული თარგმანის უნარის რეალისტურობისა და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია თარგმანის კომპონენტის გაძლიერება პროგრამის შინაარსში სავალდებულო პრაქტიკული კურსების ინტეგრაციით.

- რეკომენდებულია პროგრამის მიზანში გათვალისწინებული კულტურის ფართო ცოდნის ფორმირების უზრუნველსაყოფად, კულტურასთან დაკავშირებული საგნები არჩევითი ბლოკიდან გადმოვიდეს სავალდებულო ბლოკში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მოიცავს 12 სწავლის შედეგს, რომელიც მოცემულია შემდეგნაირად: ცოდნა, გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელსა და პროგრამის მიზნებს, მაგრამ მიზნების მსგავსად, რამოდენიმე სწავლის შედეგის მიღწევადობა და გაზომვადობა არ არის რეალისტური პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე. კერძოდ:

პროგრამის პირველი შედეგის, რომელიც გულისხმობს ინგლისური ენის დაუფლებას სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონის შესაბამისად, მიღწევადობა და

რეალისტურობა ბუნდოვანია პროგრამაში ჩარიცხვის წინაპირობებისა და ინგლისური ენის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება 4 უცხო ენიდან ერთ-ერთის ჩაბარებით, რაც განაპირობებს ინგლისური ენის არმცოდნე ან ინგლისურ ენაში დაბალი კომპეტენციის მქონე სტუდენტების პროგრამაზე მიღებას (დეტალური მსჯელობა შესაბამისი რეკომენდაციით, იხილეთ 2.1 ქვესტანდარტში). ამასთან, სტუდენტები ინგლისური ენის შესწავლას B1 დონეზე იწყებენ მეორე სემესტრში. ამ დონისთვის განკუთვნილია ორი სემესტრი - 240 საკონტაქტო საათი, მაშინ როცა B2 დონის დასაფარად გამოყოფილია მხოლოდ 120 საკონტაქტო საათი ერთი სემესტრის განმავლობაში. სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით, საკონტაქტო საათები დონეების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: A2- 180-200 საათი; B1- 350-400 საათი; B2- 500-600 საათი. ანუ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით B2 დონის მისაღწევად უფრო მეტი საკონტაქტო საათები არის საჭირო. ინტერვიუს დროს ამ მოსაზრებას დაეთანხმა აკადემიური პერსონალი. სტუდენტებთან ინტერვიუსას კი გამოვლინდა, რომ სტუდენტების უმრავლესობას უჭირს ინგლისურ ენაზე მარტივი კომუნიკაცია. ინტერვიუზე შევხვდით პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კურსელებს და აქედან მხოლოდ ერთ მეორე კურსელთან შევეძელით მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. ეს ფაქტი უფრო ამყარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რომ პროგრამის პირველი მიზნის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამის შინაარსის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროგრამის მეორე სწავლის შედეგი გულისხმობს ფილოლოგიის სფეროსა და დარგობრივი ენის (პრესა, ბიზნესი და სხვა) ძირითადი ტერმინოლოგიის ფლობას ქართულ, ინგლისურ და მის მიერ არჩეულ უცხოურ ენაზე, ტექსტის თარგმანის სპეციფიკას; პროგრამაში გათვალისწინებულია 20 კრედიტი უცხოური ენების (გერმანული და ფრანგული) ბლოკისთვის და ყველაზე მაღალი დონე რასაც შეიძლება მიაღწიოს სტუდენტმა ამ ოთხ სემესტრში არის B1+ დონე, თუმცა პროგრამით არ არის განსაზღვრული უცხოური ენის დონე, რომელსაც უნდა მიაღწიოს სტუდენტმა პროგრამის დასრულებისას. აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტს შეუძლია, შეიცვალოს არჩეული უცხოური ენა. შესაბამისად, სტუდენტის უნარი, აღწეროს ფილოლოგიის სფეროსა და დარგობრივი ენის (პრესა, ბიზნესი და სხვა) ძირითადი ტერმინოლოგია მის მიერ არჩეულ მეორე უცხო ენაზე, არ არის მიღწევადი და რეალისტური. კურსის განმახორციელებელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამა დარგობრივი მეორე უცხო ენის შესწავლას არ ითვალისწინებს და შეუძლებელია ამისი უზრუნველყოფა 20 კრედიტით (იმ შემთხვევაშიც კი თუ სტუდენტი არჩეულ ენას ბოლომდე გაყვება). ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აუცილებელია პროგრამის

მეორე სწავლის შედეგის მიღწევადობის მიზნით, განისაზღვროს მეორე უცხოური ენის მისაღწევი დონე და მეორე დარგობრივი უცხოური ენის სწავლების კომპონენტი.

პროგრამის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სწავლის შედეგებში იკვეთება გადაფარვა, რადგან სამივე სწავლის შედეგი გულისხმობს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის (მათ შორის დარგობრივ სფეროში) განვითარებას (*„...5. იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხს, როგორც დარგის სპეციალისტებთან, ასევე პროფესიულ წრეებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი კომუნიკაციისას; 6. მონაწილეობს დიალოგსა და დისკუსიაში ინგლისურ ენაზე, არგუმენტირებულად იცავს საკუთარ მოსაზრებებს შესაბამისი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებით; 7. იყენებს ინგლისურ ენაზე სპეციფიურ დარგობრივ ლექსიკას, შესაბამისი დონის ტერმინოლოგიას, როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციისას*). ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სწავლის შედეგის მიღწევადობისა და გაზომვადობის მიზნით, აუცილებელია პროგრამის ამ შედეგების გამსხვილება და გაერთიანება.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში არ იკვეთება დამსაქმებლების ჩართულობა. პროგრამის განმახორციელებლებმა და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ დამსაქმებლების ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში მათთვის გამოწვევას წარმოადგენს. ექსპერტთა ჯგუფი თვლის რომ მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის და მათ შორის დამსაქმებლების ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტუდენტთა ჩარიცხვის დოკუმენტი (ქულები ინგლისურ ენაში);
- CEFR დოკუმენტი- ([ბმული](#));
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის პირველი სწავლის შედეგის მიღწევადობის უზრუნველყოფა პროგრამის შინაარსით (ინგლისური ენის საკონტაქტო საათების გაზრდა).
- რეკომენდებულია, პროგრამის მეორე სწავლის შედეგის მიღწევადობის უზრუნველსაყოფად განისაზღვროს მეორე უცხოური ენის მისაღწევი დონე და მეორე დარგობრივი უცხოური ენის სწავლების კომპონენტი.
- რეკომენდებულია მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სწავლის შედეგის მიღწევადობისა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად, მოხდეს ამ შედეგების გამსხვილება და გაერთიანება.
- დამსაქმებლების ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შედეგების შემუშავების პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტს, რომელიც უნივერსიტეტში შემუშავდა 2019 წელს. დოკუმენტში გაწერილია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და პროცედურები. დოკუმენტის მიხედვით, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა, არ არსებობს კონკრეტულად ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების ფორმები და მეთოდები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია მხოლოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მოცემულია შემდეგი სასწავლო კურსების შეფასების გეგმა: ინგლისური ენა 6, ინგლისური ლიტერატურის ისტორია 4, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი. გეგმაში ჩანს შემფასებელი პირები (ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), სტუდენტთა რაოდენობა მითითებულია 100%-ით, შეფასების პერიოდულობად მოცემულია საბაკალავრო პროგრამის დასრულება, ასევე მოცემულია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. დოკუმენტში არ არის ახსნილი თუ რა მეთოდებით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულობად მითითებულია საბაკალავრო პროგრამის დასრულება, გაუგებარია როდის მოხდება ამ სწავლის შედეგებზე დაკვირვება. დოკუმენტის ბოლოში მითითებულია, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში მითითებულ შემფასებელ პირებთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, თუმცა, არ არის გამოკვეთილი თუ როგორ მოხდება მათი ჩართვა ამ პროცესში. ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ აქამდე არ განხორციელებულა ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში შედეგებზე დაკვირვება მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტი 2019 წელს შემუშავდა.

პროგრამის ძირითად სავალდებულო საგნებში მოცემულია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ფორმები - შეფასებისას თუ რომელი კომპონენტით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება, თუმცა, არ არის მოცემული სამიზნე ნიშნულები თუ რა შემთხვევაში იქნება სწავლის შედეგები მიღწეული ამ საგნის ფარგლებში. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს და ამოქმედდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისთვის სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, პერიოდულობა და გარე დაინტერესებული მხარეების სწავლის შედეგების შეფასების პროცესებში ჩართვის ფორმები და მექანიზმი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, საიდანაც 190 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს (სავალდებულო სასწავლო კურსები / კომპონენტები -138 კრედიტი- მათ შორის: პრაქტიკა 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები 52 კრედიტი) და 50 კრედიტი გამოყოფილია თავისუფალი კომპონენტისთვის (სავალდებულო სასწავლო კურსები 30 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსები 20 კრედიტი). თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი 30 კრედიტიდან 20 კრედიტი გამოყოფილია უცხოური ენის (გერმანული და ფრანგული) შესასწავლად, თუმცა, პროგრამის სტრუქტურაში მეორე უცხოური ენისთვის გათვალისწინებული 20 კრედიტი არ არის საკმარისი პროგრამის მეორე სწავლის შედეგის მისაღწევად, რომელიც გულისხმობს სტუდენტის უნარს აღწეროს ფილოლოგიის სფერო და დარგობრივი ენის (პრესა, ბიზნესი და სხვა) ძირითადი ტერმინოლოგია ქართულ, ინგლისურ და მის მიერ არჩეულ უცხოურ ენაზე (დეტალური მსჯელობა შესაბამისი რეკომენდაციით იხილეთ 1.2 ქვესტანდარტში). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მეორე სწავლის შედეგის მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში უფრო მეტი კრედიტი დაეთმოს დარგობრივ უცხოურ ენას (რომელშიც გათვალისწინებული იქნება ენის გადარჩევის შემთხვევაც და სტუდენტისთვის მისაღწევი დონე).

პროგრამაში ზოგადი ინგლისური ენის შესწავლა ხდება სამი საგნით (მთლიანობაში 24 კრედიტი): ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2 და ინგლისური ენა 3. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით ინგლისური ენა 1 და 2 კურსების შედეგად ორ სემესტრში მიიღწევა B1+ დონე და ინგლისური ენა 3-ის შედეგად - B2 დონე ერთ სემესტრში. კრედიტები და საკონტაქტო საათები სამი საგნისთვის არის ერთნაირი. ინგლისური ენა 1, 2 და 3 ისწავლება შემდეგი კომპონენტებით: გრამატიკა, ანალიზური კითხვა, საუბრის კულტურა და ლექსიკა, და წერის კულტურა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პროგრამაში მომზადებულია ერთი სილაბუსი, რომელშიც მოცემული მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები აერთიანებს ყველა ასპექტს, თუმცა გრამატიკის, ანალიზური კითხვის, საუბრის კულტურის, ლექსიკისა და წერის კულტურის სწავლებას განსხვავებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები სჭირდება ენის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე. ძირითად სილაბუსს ცალკე ახლავს ამ ოთხი ასპექტის შინაარსობრივი აღწერა, რომელიც არ მოიცავს თითოეული ამ ასპექტისთვის დამახასიათებელ სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. ამასთანავე, ერთი საგნის სილაბუსის ასეთი სხვადასხვა ვარიაციებით (ერთი ძირითადი სილაბუსი, მიზნებით, შედეგებით და ერთი საერთო მეთოდიკით და ოთხი ასპექტისთვის

შინაარსობრივად გაწერილი ოთხი შემოკლებული სილაბუსის ფორმა) არსებობა დამაბნეველია.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ვინაიდან პროგრამაში ზოგადი ინგლისური ენის B2 დონის მიღწევა არ არის რეალისტური (დეტალები იხილეთ ქვესტანდარტი 1.2) მისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათებისა და მიღების წინაპირობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ინგლისური ენა 1, 2 და 3 -ში გათვალისწინებული ასპექტები გამოიყოს ცალკე საგნებად და გაიზარდოს მათზე კრედიტების გადანაწილება (შესაბამისად საკონტაქტო საათები), რაც განაპირობებს ამ ასპექტებისთვის დამახასიათებელი სწავლებისა და შეფასების მეთოდების ნათლად წარმოდგენას.

პროგრამა ინგლისური ენის B2 დონის მიღწევის შემდეგ ითვალისწინებს დარგობრივი ინგლისური ენის განვითარებას შემდეგი საგნებით: ინგლისური ენა 4, ინგლისური ენა 5 და ინგლისური ენა 6. სამივე ინგლისური ენის ფოკუსი არის პრესა, ტექსტის ინტერპრეტაცია, ბიზნეს ინგლისური და FCE სასერთიფიკატო კურსი. ინგლისური ენა 4,5 და 6 კურსების დიზაინი მოიცავს ერთ ძირითად სილაბუსს, რომელშიც მოცემული მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები აერთიანებს ყველა ასპექტს, თუმცა, პრესის, ტექსტის ინტერპრეტაციის, ბიზნეს ინგლისურის და FCE სწავლებას განსხვავებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები სჭირდება ენის სწავლების სპეციფიკიდან და FCE გამოცდის ფორმატიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია პრესის ენის, ტექსტის ინტერპრეტაციის, ბიზნეს ინგლისურისა და FCE-ის სწავლება მოხდეს ცალცალკე საგნებად, რათა უფრო მეტად იყოს შესაძლებელი თითოეული კომპონენტის სწავლებისა და შეფასების თავისებურებების გათვალისწინება. პროგრამა, ინგლისურ ენასთან ერთად, ითვალისწინებს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორცაა ინგლისური ლიტერატურის ისტორია, ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა, ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, ინგლისური ენის ისტორია, ენათმეცნიერების შესავალი, ფონეტიკა და აუდირება, შესავალი თარგმანმცოდნეობაში და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამაში გაწერილი მიზნებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით, პროგრამას უნდა დაემატოს უფრო მეტი პრაქტიკული საგანი თარგმანმცოდნეობის მიმართულებით, სადაც აქცენტი გაკეთდება ინგლისურიდან ქართულად და პირიქით, ქართულიდან ინგლისურად თარგმანის პრაქტიკაზე (დეტალურ აღწერა შესაბამისი რეკომენდაციით იხილეთ ქვესტანდარტში 1.1) .

პროგრამაში გათვალისწინებულია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები, თუმცა, ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში, რეკომენდებულია პროგრამაში გადაიხედოს და ლოგიკური თანმიმდევრობით გაისაზღვროს კურსების წინაპირობები.

მაგალითად, ინგლისური ენა 4 გადის B1 დონეზე და წინაპირობად აქვს ინგლისური ენა 3, რომელიც თავისთავად გულისხმობს ინგლისური ენის B2 დონეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ B1 დონის ინგლისური ენის წინაპირობა ვერ იქნება ინგლისური ენა B2 დონეზე, მითუმეტეს, როდესაც ინგლისური ენა 4 გულისხმობს FCE სერთიფიკატისთვის მომზადებას, რომელიც ერთიანი ევროპული ჩარჩოს მიხედვით განეკუთვნება B2 დონეს (<https://www.cambridgeenglish.org/exams-and-tests/first/>).

ინგლისური ენა 1 -ის წინაპირობა არის შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში, რომელიც ისწავლება ქართულ ენაზე. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ზოგადი ინგლისური ენის B1 დონეზე შესასწავლად აუცილებელი არ არის ინგლისური ენის წარმოშობასთან, ისტორიული განვითარების ეტაპებთან, მაკრო და მიკრო ფუნქციებთან, ენათმეცნიერულ სკოლებთან და ა.შ. დაკავშირებული საკითხების ცოდნა. ინტერვიუზე გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრება, რომ ეს თანმიმდევრობა ენის მიმართ ინტერესის გაღვივებას ემსახურება. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ამ საგნების პარალელურად შესწავლა ხელს არ შეუშლის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, პირიქით, თუ პირველივე სემესტრში დაიწყება ზოგადი ინგლისური ენის შესწავლა და გაიზრდება საკონტაქტო საათები, ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების მზაობას ისწავლონ საგნები ინგლისურ ენაზე მეხუთე სემესტრიდან.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ პროგრამის კატალოგში ხელმისაწვდომია ინგლისური ფილოლოგიის მოქმედი პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ვებ-გვერდი;
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში მეორე უცხოური ენების ბლოკისთვის უფრო მეტი კრედიტების გამოყოფა, რათა მოხდეს დარგობრივი უცხოური ენის დაუფლებისთვის საჭირო საათობრივი და შინაარსობრივი დატვირთვის უზრუნველყოფა.

- რეკომენდებულია პროგრამაში გაიზარდოს ინგლისური ენის შესწავლისთვის გამოყოფილი კრედიტები და ზოგადი ინგლისური ენის სწავლება დაიწყოს პირველივე სემესტრიდან.
- რეკომენდებულია პროგრამაში გადაიხედოს და ლოგიკური თანმიმდევრობით გაისაზღვროს კურსების წინაპირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამის ძირითად სავალდებულო საგნებში სწავლის შედეგები აღწერილია გაზომვადი ზომებით. პროგრამის ძირითად სავალდებულო საგნებში მოცემულია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ფორმები. ძირითად სასწავლო კურსებში კრედიტების გადანაწილება ლოგიკურია, თუმცა, ზოგადი ინგლისური ენისა და დარგობრივი უცხოური ენების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, პროგრამაში გაიზარდოს კრედიტების მოცულობა. (დეტალური აღწერა შესაბამისი რეკომენდაციით იხილეთ 1.2 და 1.4 ქვესტანდარტებში).

სწავლის შედეგების ნაწილი გასათვალისწინებელია ინგლისური ლიტერატურის ისტორია 3-ის კურსში, რომლის მიზანია მე-19 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის განხილვა, მაშინ როდესაც კურსის პირველი სწავლის შედეგი ასახავს სტუდენტის უნარს მიმოიხილოს V-XVII საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ძირითადი ნაწარმოებები და შესაბამისი ისტორიულ-კულტურული კონტექსტი. იგივე სწავლის შედეგია მოცემული ინგლისური ლიტერატურის ისტორია 4-ში, რომლის მიზანია თანამედროვე ბრიტანული ლიტერატურის შესწავლა. სილაბუსის ავტორთან ინტერვიუსას, მან აღნიშნა, რომ ეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო.

აკადემიური წერის სილაბუსში გადასახედია კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლის შედეგები და სწავლებისა და შეფასების მეთოდები. წარმოდგენილი სილაბუსის სწავლის შედეგები აკადემიური წერის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, გადის ზეპირ კომუნიკაციაზე და მეტყველების სტილისტურ ხერხებზეც (აღწერს ზეპირი და წერიტი კომუნიკაციების ტიპების ზოგად თავისებურებებს; იყენებს მეტყველების სტილისტურ ნორმებს და ფორმებს), რაც, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ცდება აკადემიური წერის მიზანს (აკადემიური წერა გულისხმობს აკადემიური სტილის გამოყენებით ნაშრომების, პუბლიკაციების, დისერტაციების და ა.შ. წერას). ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აუცილებელია, კურსის ავტორმა გაითვალისწინოს აკადემიური წერის სპეციფიკა სასწავლო თემატიკის შერჩევისას. მნიშვნელოვანია აკადემიური წერის სილაბუსში სწავლის შედეგების შემუშავებისას აქცენტი გაკეთდეს პლაგიატზე. ასევე, მიგვაჩნია, რომ კურსის ფარგლებში ისწავლებოდეს კონკრეტული ციტირების სტილი (მაგალითად, APA, MLA, Chicago და ა.შ). აკადემიური წერის სილაბუსში ერთ-ერთ შეფასების ფორმად შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მოყვანილია ესეს ჯგუფური პრეზენტაცია. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტები ესეებზე ერთად მუშაობენ, მნიშვნელოვანია, კურსის ფარგლებში ისწავლებოდეს თანამშრომლობითი

წერის სტრატეგიები და მათი გამოყენება თანამედროვე ტექნოლოგიების/ციფრული აპლიკაციების გამოყენებით (Google Doc, Google Sites, Blogger და ა.შ).

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია პროგრამაზე მომუშავე გუნდმა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს სხვადასხვა კურსში გამოყენებულ ლიტერატურის „დამთხვევა და შინაარსის გადაფარვა“. არსებული სიტუაციით, პრესა 1, გრამატიკა 2 (B1+) და ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის -სამართალი, ისწავლება ერთი და იგივე სავალდებულო სახელმძღვანელოთი, ამასთან, სამივე საგანი ისწავლება სხვადასხვა სემესტრში (Destination B2 by Malcolm Mann and Steve Taylore-Knowles, Macmillan Education, 2020); ასევე, მნიშვნელოვანია განახლდეს რუსული გამომცემლობის მოძველებული ლიტერატურა, მაგალითად, ინგლისური ენის ისტორიაში - Р а с т а р г у е в а Т .А – И с т о р и я А н г л и й с к о г о Я з ы к а ; А С Т 2003, ლექსიკოლოგიაში- Babich G.N (2016). Lexicology: A Current Guide. “Flinta”, Moscow, Russia.

სასწავლო კურსში „საუბარი და ლექსიკა 3“ სასაუბრი ამერიკული ინგლისურის შესასწავლად გამოყენებულია 1999 წლის სახელმძღვანელო, რაც ძალიან ძველია შესასწავლი თემატიკის გათვალისწინებით (Speaking and Vocabulary 3- Curry Dean, “Conversational American English”, with cassette recording for students of EFL, Intermediate/Advanced Level, 1999). ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისათვის - TOEFL iBT გამოყენებულია 2012 წლის გამომცემლობა (TOEFL iBT Exam - Susan Bates, 2012), როდესაც ტესტში უახლესი ცვლილებები შევიდა 2019 წელს.

ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის -სამართალი- ამ კურსის მიზანია ILEC-ის (საერთაშორისო სამართლებრივი ინგლისური ენის) გამოცდისთვის მომზადება, მაგრამ კურსი თავისი შინაარსით, სახელმძღვანელოებით და შეფასების მეთოდებით არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივი ინგლისური ენის გამოცდის ფორმატს. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აუცილებელია კურსის ავტორმა გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლებრივი ინგლისური ენის გამოცდის სპეციფიკა სილაბუსის შემუშავებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-სილაბუსები;

- პროგრამა;

- თვითშეფასების დოკუმენტი;

ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ლიტერატურის ისტორიის კურსებში დაკორექტირდეს სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია აკადემიური წერის სილაბუსში გადაიხედოს კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლის შედეგები და სწავლებისა და შეფასების მეთოდები.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „ლექსიკოლოგია“, „სტილისტიკა“, „პრესა 1“, „გრამატიკა 2 (B1+)“, „ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის -სამართალი“, „ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისათვის - TOEFL iBT,“ „საუბარი და ლექსიკა 3“ განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან	x
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის აღწერილობის მიხედვით, პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელმაც „წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები“... ასევე, პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია „ეროვნული გამოცდების [ჩაბარების] გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“(გვ 1. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა). ჩანაწერი არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამაზე სწავლის უფლებამოსილი იმ პირისთვის სავალდებულო ენობრივ კომპეტენციაზე, რომელიც ეროვნული გამოცდის გარეშე ირიცხება პროგრამაზე, ასევე, ზოგადად რომელი უცხო ენის

გამოცდის შედეგად ხდება პროგრამაზე ჩარიცხვა. არაა განსაზღვრული პროცედურა, რომელიც დაარეგულირებდა იმ პირთა ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის საკითხს, რომლებიც ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე შეიძლება ჩაირიცხონ წარმოდგენილ პროგრამაზე (იგულისხმება პირები, რომლებიც ფლობენ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას). მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განაცხადს 2022 წლის ეროვნული გამოცდების ცნობარში, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ პროგრამაზე მიიღებიან პირები, რომლებმაც ჩააბარეს 4 უცხო ენიდან (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული) ერთ-ერთი და ამასთან, უცხო ენაში გადასალახი ზღვარი განსაზღვრულია 20 %-ით ოთხივე ენის შემთხვევაში. ასეთი განაცხადი დღის წესრიგში აყენებს ენის კომპეტენციის დონის განმსაზღვრელი შესაბამისი პროცედურების შემუშავების აუცილებლობას არამარტო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, არამედ იმ პირებისთვისაც, რომლებიც ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგად ჩაირიცხნენ წარმოდგენილ პროგრამაზე, იმ შემთხვევაში, თუ მათ ჩააბარეს გერმანული, რუსული ან ფრანგული ენა, რის უფლებასაც მათ აძლევთ აღნიშნული პროგრამის განაცხადი. ექსპერტთა ჯგუფმა დააყენა აღნიშნული საკითხი უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს. მათ დაადასტურეს აღნიშნული გარემოებები და აღნიშნეს, რომ მოცემულ პროგრამაზე 4 უცხო ენით მიღების შესაძლებლობა გამოწვეული იყო არსებულ კონკურენციასთან გამკლავების სურვილით. მათ ასევე დასძინეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მზად არიან, სტუდენტებს ჩაუტარონ ენის კომპეტენციის დასადგენი ტესტირება და პროგრამის კურიკულუმს გარეთ, შესთავაზონ ინგლისური ენის ინტენსიური კურსი, დამატებითი ფინანსური ვალდებულების დაკისრების გარეშე, ერთი სემესტრის განმავლობაში (მეორე სემესტრიდან ხორციელდება სავადებულო კურსები, რომლებიც ინგლისური ენის B1 დონიდან იწყება), თუმცა, ასეთი კურსის სილაბუსი, საათობრივი დატვირთვა ან განმახორციელებლები ჯერ არ არის განსაზღვრული და არც პროცედურულად გაწერილი. აღნიშნული გარემოებები საფრთხეს უქმნის პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას და აფერხებს ლოგიკურ კავშირს პროგრამის წინაპირობებს, მის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის და პროგრამის წინაპირობების მის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, შემუშავდეს და გაიწეროს ენის კომპეტენციის განმსაზღვრელი პროცედურა (ეროვნულ გამოცდებზე სხვა უცხო ენით

მიღებული და/ან ეროვნული გამოცდების გარეშე მიღებული უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის) და პროგრამა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ინტენსიური კურსის თაობაზე.

მოწოდებული დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული გამოცდილების, სხვა უნივერსიტეტების კონკურენტული პროგრამების და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გამოხატავს მზაობას, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს პროგრამის უზრუნველყოფა ყველა დამატებითი საჭირო მატერიალური თუ ფინანსური რესურსით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროგრამების კატალოგში და უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია“
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის და პროგრამის წინაპირობების მის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, შემუშავდეს და გაიწეროს ენის კომპეტენციის განმსაზღვრელი პროცედურა (სხვა უცხო ენით მიღებული და/ან უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის) და პროგრამა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ინგლისური ენის ინტენსიური კურსის თაობაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციასთან, ისევე როგორც დამატებით გამოთხოვილ მასალასთან გაცნობისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგად, იკვეთება რომ კვლევითი კომპონენტის უზრუნველსაყოფად, პროგრამაში ინტეგრირებულია საბაკალავრო ნაშრომი 10 ECTS კრედიტის მოცულობით, რომლის პროცედურა, შესრულების ფორმატი და მოთხოვნები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებებით (დეტალურად საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შესახებ იხ.სტანდარტი 2.4)

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტების კვლევით აქტივობას მხარს უჭერს

უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი ინფორმირებული არიან კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობებზე და მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციაში.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო კლუბი, რომლის მიზანია სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში ჩართვა, კლუბი ახორციელებს კვლევით პროექტებს, თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა აღნიშნული კლუბის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით და პროექტებით. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ ასეთი კლუბის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ და ვერც რაიმე კვლევით პროექტის განხორციელების შემთხვევას იხსენებენ.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ კვლევითი უნარების გასამდიერებლად, სასურველია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო კლუბის მუშაობაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს (10 კრედიტი), რომელიც ხორციელდება მე-8 სემესტრში. პრაქტიკის კურსის სილაბუსში მოცემულია კურსის განმახორციელებლის, სტუდენტების და მიმღები მხარის პასუხისმგებლობა მოვალეობები. პრაქტიკა ითვალისწინებს შეფასებას, მოცემულია შეფასების ფორმატი და კრიტერიუმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამისი სილაბუსთან გაცნობის შედეგად ვერ მოხდა პრაქტიკის ხელმძღვანელის ვინაობის, პრაქტიკის შინაარსის და თემატიკის, მიზნების და შედეგების დადგენა. ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა, ნათელი მოეფინა ამ საკითხისთვის ინტერვიუს დროს, თუმცა, პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ვინაიდან პრაქტიკის კომპონენტი ახალი ინტეგრირებულია პროგრამაში და იგი ჯერ რეალობაში ან განხორციელებულა, პრაქტიკის ხელმძღვანელი, პრაქტიკის შინაარსი, მიზნები და შედეგები ჯერ განსაზღვრული არ არის. მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს მოცემული პროგრამის სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები 5 ორგანიზაციასთან, მაგრამ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას, ამასთან, ერთ-ერთ ობიექტთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, პრაქტიკაზე მიიღებიან მხოლოდ გასაუბრების შედეგად შერჩეული პირები. ლოგიკურად, ასეთ შერჩევას ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის შეიძლება მოჰყვეს აღნიშნულ ობიექტზე პრაქტიკის ძალიან მცირე, ან ნულოვანი შესაძლებლობა, რამაც

შეიძლება პრობლემები შექმნას ყველა სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა, გასაუბრებოდა მხოლოდ ერთი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს პრაქტიკისა და დასაქმების მიმართულებით, რომელმაც, წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, დაადასტურა პრაქტიკის მიმართულებით თანამშრომლობის მხოლოდ სამომავლო პერსპექტივა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია, პრაქტიკის სილაბუსით/სილაბუსებით განისაზღვროს და დაკონკრეტდეს პრაქტიკის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ვინაობა, პრაქტიკის მიზნები, შინაარსი და მისაღწევი შედეგები. ასევე, შესაბამისი მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

თვითშეფასების ანგარიში ასევე მოიცავს ინფორმაციას პროგრამის კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის შესახებ. ასეთ კურსებად დასახელებულია მაგალითად, ენის კომპეტენციის განსავითარებელი კურსები: ინგლისური ენა 1,2,3,4,5 და 6. და ისეთი კურსები, როგორცაა „თარგმნის თეორია და პრაქტიკა“, „ტექსტის რეფერირება, რეცენზირება და თარგმნა“ (არასავალდებულო კურსი), ბიზნეს ინგლისური. ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო აღნიშნული კურსის სილაბუსებს, მაგრამ კურსში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის იდეტიფიკაცია მათში ვერ მოახდინა. ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა, გაერკვია ეს საკითხი პროგრამის გამახორციელებლებთან ინტერვიუს დროს, რის შედეგადაც გაირკვა, რომ თვითშეფასების ანგარიშის ამ ჩანაწერში იგულისხმებოდა კონკრეტული კურსის ფარგლებში მიმდინარე ისეთი პრაქტიკული აქტივობები და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა „როლური თამაშები, თარგმნა, რეცენზირება და ა.შ. და არა პროფესიული პრაქტიკა პრაქტიკის ობიექტზე.

არაფორმალური პრაქტიკის შესაძლებლობად და საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტს აქვს საკუთარი ტელევიზია, სადაც ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ ინგლისურენოვანი რეპორტაჟების მომზადებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

- ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პრაქტიკის სილაბუსით/სილაბუსებით განისაზღვროს და დაკონკრეტდეს პრაქტიკის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელების ვინაობა, პრაქტიკის მიზნები, შინაარსი და მისაღწევი შედეგები.
- პრაქტიკის მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით, სასურველია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო კლუბის მუშაობაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროგრამაში განსაზღვრულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება, ახსნა-განმარტება, ზეპირსიტყვიერი, შემთხვევის ანალიზი, ინდივიდუალური, წყვილში ან ჯგუფში მუშაობა, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, წერიტი მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, დემონსტრირება, თანაშრომლობითი სწავლება და ა.შ. ისინი შეესაბამება სწავლების საფეხურს, დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ისინი მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარის მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

სტუდენტები ადასტურებენ სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას, ინტერაქციას, საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტენსიური კომუნიკაციის შესაძლებლობებს როგორც სალექციო, ისე დამატებითი, საკონსულტაციო შეხვედრების ფორმით.

სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მოწოდებული დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალური გეგმის შედგენის შესაძლებლობას, განსაკუთრებით მობილობის შედეგად პროგრამაზე გადმოსული სტუდენტების შემთხვევაში. თითოეული კურსის ფარგლებში, პროფესორი, სასწავლო წლის დასაწყისში, ახდენს სილაბუსის გაცნობას და სწავლა-სწავლების მეთოდების განმარტებას.

დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს საჭირო ელექტრონული რესურსით, შემუშავებულია მეთოდოლოგია და სწავლების სისტემა, რომელიც არ იწვევს პროგრამის მიზნების და სწავლების შედეგების ცვლილებას. უნივერსიტეტში ფუნციონირებს ელექტრონული პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნციონირებას დისტანციური სწავლების ფორმატშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ინგლისური ფილოლოგიის” საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა www.sdasu.ini.ge

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო სილაბუსი გულისხმობს სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებას შუალედური და დასკვნითი შეფასებით, მათი ჯამით სტუდენტს ენიჭება საბოლოო შეფასება მაქსიმუმ 100 ქულის ოდენობით. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი წესით, წინასწარ გაწერილია თითოეული კურსის სილაბუსში და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონულ პლატფორმაზე. სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი ქულათა გადანაწილება, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი კურსის შეფასების მეთოდები არ შეესაბამება ამ კონკრეტული კურსის დასახელებას, მიზნებს, შინაარსსა და შედეგებს, მაგალითად, სასწავლო კურსის - „IELTS - ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისთვის“ ძირითად მიზანს წარმოადგენს, გააცნოს სტუდენტს აღნიშნული საერთაშორისო გამოცდის ფორმატი და სპეციფიკა. კურსი, IELTS საერთაშორისო გამოცდის ფორმატიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს 4 ძირითადი ენობრივი უნარის განვითარებას და შესაბამისად, იგი უნდა ითვალისწინებდეს ოთხივე უნარის გაზომვასაც, თუმცა, სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური და ფინალური შეფასება შემოიფარგლება წერითი ფორმით, რაც ცხადია, ვერ უზრუნველყოფს კურსის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ადეკვატურ შეფასებას. ასევე, „ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის -სამართალი“ კურსის მიზანია საერთო ევროპული ჩარჩოს (ILEC) მიერ განსაზღვრული ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა, თუმცა, კურსის შეფასების მეთოდი და ფორმატი არ შეეფერება ILEC საერთაშორისო გამოცდის ფორმატს და შეფასების კრიტერიუმებს.

ანალოგიურად, კურსის „შესავალი თარგმანმცოდნეობაში“ შუალედური წერითი გამოცდა ფასდება 25 ქულით, სადაც თარგმანის შეფასების წილი მხოლოდ 5 ქულაა. ამასთან, აღნიშნული კურსის ფარგლებში, შუალედური შეფასების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს შესრულებული თარგმანის პრეზენტაცია ზეპირი ფორმით. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თარგმანის წარდგენის ამ ფორმით და შესრულებულ თარგმანზე უკუკავშირის ფორმატით. კურსის განმახორციელებელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შესრულებული თარგმანის წარმოდგენა მხოლოდ ზეპირი პრეზენტაციის სახით ხდება, და პროფესორის უკუკავშირიც ძლიერ და გამოსასწორებელ მხარეებზე მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ფორმით შემოიფარგლება, რაც ცხადია, ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული კურსით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, მითუმეტეს, როცა, კურსის შედეგები მხოლოდ წერითი თარგმანის უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული.

რეკომენდებულია, განხორციელდეს კურსის „IELTS - ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისთვის“, „ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის -სამართალი“ და „თარგმანმცოდნეობის შესავალი“ შეფასების ფორმატის შესაბამისობაში მოყვანა კურსის მიერ დასახულ მიზნებთან, შინაარსსა და შედეგებთან.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების შემთხვევაში. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, შეფასების გაუმჯობესებისთვის, სტუდენტს ენიშნება დამატებითი გამოცდა.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის, ისევე როგორც ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, იკვეთება, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტს ეძლევა აკადემიურ პერსონალთან საკუთარი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების გზების განხილვის, ასევე შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა, შემუშავებულია შეფასების გასაჩივრების წესიც. თუმცა, გასაჩივრების საჭიროება მოცემული პროგრამის ფარგლებში ჯერ არ დამდგარა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამაში ჩართულ პირებთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები არის გამჭირვალე. სასწავლო წლის დასაწყისში კურსის პედაგოგი აცნობს სტუდენტებს სწავლა-სწავლების და შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს. დაცულია წერითი შეფასების ობიექტურობა და ვალიდურობაც. წერითი ფორმატის მქონე გამოცდები ტარდება უნივერსიტეტში, სტუდენტებს ეძლევათ ამობეჭდილი დავალებები/ტესტები, უზრუნველყოფილია რამოდენიმე ვარიანტი თითოეული კურსისათვის.

საბაკალავრო ნაშრომისთვის შესაბამისი სილაბუსში განსაზღვრულია ნაშრომის შეფასების სისტემა და ფორმები, ისეთი ტექნიკური მოთხოვნები, როგორცაა, მაგალითად, შრიფტი, ავტორის, ელ. რესურსების მოყვანის ფორმატი და სხვ. თუმცა, ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სტუდენტებს არ გააჩნიათ ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული და ზოგადად, აკადემიური სტილის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის სტუდენტების მიერ შესრულებულ საბაკალავრო ნაშრომებსაც, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი ნაშრომები სხვადასხვა სტილით იყო შესრულებული, თუმცა, რომელიმე კონკრეტული სტილის ინდეტიფიცირება ამ ნაშრომების საფუძველზე ვერ მოხერხდა.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია, პროგრამის საბაკალავრო ნაშრომები შესრულდეს ერთი უნიფიცირებული აკადემიური სტილით და მოხდეს სტუდენტთა წინასწარი ინფორმირება საბაკალავრო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნების შესახებ.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციასა და ექსპერტების მიერ დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციასთან გაცნობის, ასევე ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო ნაშრომის (ისევე როგორც სხვა ნებისმიერი წერიტი ნაშრომის) შეფასებისას, მოცემული პროგრამის ფარგლებში პლაგიატის პრევენციასა და აღმოჩენაზე მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელია პასუხისმგებელი. როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, საბაკალავრო ნაშრომები არ მოწმდება უნივერსიტეტში მოქმედი ანტიპლაგიატის კომპიუტერული პროგრამით.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პლაგიატის პრევენციის მიზნით, რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომები შემოწმდეს უნივერსიტეტში მოქმედი ანტიპლაგიატის კომპიუტერული პროგრამით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შეფასების შედეგების ანალიზის მექანიზმი, თუმცა, მისი გამოყენება მოცემული პროგრამის ფარგლებში ჯერ არ მომხდარა (დეტალური ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი რეკომენდაციით, იხილეთ 1.3 ქვესტანდარტში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები;
- სასწავლო პორცესის რეგულირების წესი;
- პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;

- ვებ-გვერდი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- დებულება სამეცნიერო ნაშრომის პლაგიატის გამოვლენის შესახებ

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განხორციელდეს კურსის „IELTS - ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისთვის“, „ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის - სამართალი“ და „თარგმანმცოდნეობის შესავალი“ შეფასების ფორმატის შესაბამისობაში მოყვანა კურსის მიერ დასახულ მიზნებთან, შინაარსსა და შედეგებთან.
- რეკომენდებულია, პროგრამის საბაკალავრო ნაშრომები შესრულდეს ერთი უნიფიცირებული აკადემიური სტილით და მოხდეს სტუდენტთა წინასწარი ინფორმირება საბაკალავრო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნების შესახებ.
- პლაგიატის პრევენციის მიზნით, რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომები შემოწმდეს უნივერსიტეტში მოქმედი ანტიპლაგიატის კომპიუტერული პროგრამით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ინგლისური ფილოლოგიის

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და აკადემიურ მიღწევებზე.

სტუდენტებს უნივერსიტეტში ჩარიცხვისას ჰქონდათ საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ადმინისტრაციამ გააცნო სწავლების ზოგადი სტრუქტურა. სტუდენტთა განცხადებით, ადმინისტრაცია ახერხებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო აკადემიური პერსონალი - უკუკავშირის მიცემას. ლექტორთა დატვირთვაში კონსულტაციის საათებიცაა გამოყოფილი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ კონკრეტულ საგანში პრობლემის შექმნის შემთხვევაში მიმართონ. მათი თქმით, ლექტორები ყოველთვის მზად არიან, დაეხმარონ პრობლემის მოგვარებაში. სტუდენტებს ასევე საჭიროების შემთხვევაში კვირის ნებისმიერ დროს შეუძლიათ, დაუკავშირდნენ ლექტორს. რაიმე პრობლემის შექმნის შემთხვევაში, სტუდენტები მიმართავენ დეკანატს.

როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, ზოგადი კმაყოფილების დასადგენად, ბოლო 2 წლის განმავლობაში სტუდენტებს არ ეგზავნებათ კმაყოფილების კვლევის კითხვარი. რეკომენდებულია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ამ მექანიზმის გასაუმჯობესებლად, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, დააფიქსირონ საკუთარი აზრი, ყოველი სემესტრის ბოლოს შეაფასონ ლექტორები და სასწავლო კურსები. სტუდენტებთან ერთად, ასევე მიზანშეწონილია, გაიზარდოს კურსდამთავრებულთა ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში (დეტალური ინფორმაციისა და რეკომენდაციისთვის იხ. ქვესტანდარტი 5.3).

უნივერსიტეტს აქვს კარიერის განვითარების ცენტრი. გამოცხადებული ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ ინფორმაცია იდება სდასუ-ს ვებ-გვერდზე და ასევე ფეისბუქ ჯგუფში. თუმცა, როგორც გამოკითხულ სტუდენტთაგან გაირკვა, მათ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამასთან დაკავშირებული ვაკანსიები არ შეხვედრიათ. ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, გაუმჯობესდეს კარიერის განვითარების ცენტრის მიერ მიწოდებული სტუდენტური სერვისები.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ კვლევით პროექტებში და კონფერენციებში. გამოკითხული სტუდენტები და კურსდამთავრებულები იღებდნენ ამ აქტივობებში მონაწილეობას. ისინი სდასუ-ს ვებ-გვერდიდან ავსებენ სპეციალურ სარეგისტრაციო ფორმას, რის შემდეგაც საშუალება ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში.

პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობითა და გაცვლითი პროექტებით. გამოკითხულთაგან საერთაშორისო მობილობით

არც ერთს არ უსარგებლია, თუმცა, არსებობის შემთხვევაში სტუდენტებს აქვთ მონაწილეობის მიღების სურვილი. საერთაშორისო მობილობის მხრივ, სხვა უსდ-ებთან გაფორმებული ხელშეკრულებები უნივერსიტეტს ამ პროგრამის ფარგლებში ჯერჯერობით არ აქვს, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა და ამოქმედება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია“;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გაუმჯობესდეს კარიერის განვითარების ცენტრის მიერ მიწოდებული სტუდენტური სერვისები.
- რეკომენდებულია სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა და ამოქმედება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

საკონსულტაცი ო და მხარდამჭერი სერვისები				
--	--	--	--	--

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისა და დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს, გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოცდილება და კვალიფიკაცია შეესაბამება იმ სასწავლო კურსების მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამაში.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე თითოეული პირის - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობითა და სდასუ-ს უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით (სამუშაოს აღწერილობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის პირადი საქმეები და ა.

შ.) და უნივერსიტეტში მოქმედი „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ მიხედვით. დოკუმენტში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს. უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად „მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი“, სადაც განსაზღვრულია მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები და დასაქმების პროცედურა.

უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა და დატვირთვა რეგულირდება „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესის“ შესაბამისად. უნივერსიტეტში დატვირთვის, ფუნქციებისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით განასხვავებენ აკადემიურ პერსონალის შემდეგ სახეებს: აკადემიურ (არააფილირებულ) პერსონალს, სამეცნიერო პერსონალს/მკვლევარს, მოწვეულ პერსონალს. თითოეულ კატეგორიასთან სხვადასხვა ტიპის კონტრაქტები ფორმდება საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის ფუნქციებისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით („ა“ , „ბ“ , „გ“ და „დ“ კატეგორიის ხელშეკრულებები).

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათთვის ეს პროცედურები, რეგულაციები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და იცავს მათ თანასწორუფლებიანობის პრინციპებს.

წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისა და დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური (აკადემიური პერსონალი) შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 აკადემიური (5 აფილირებული პროფესორი) და 8 მოწვეული პერსონალი. სულ - 24. აქედან დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პერსონალი - 11. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (16/8), აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან (16/46), აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან (24/46) და პერსონალის დენადობის დაბალი მაჩვენებელი, მიუთითებს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი შესაბამისად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალი ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში და მათი რეკომენდაციები და

უკუკავშირი გათვალისწინებულია შესაბამის სილაბუსებში. მოწვეული პერსონალის ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართულები ზემოთაღნიშნულ პროცესში.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელთაც დეკანის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორია. მას გააჩნია, პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რაც დასტურდება მასთან ინტერვიუს შედეგად. იგი ჩართულია პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში. სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის შესახებ, უწევს კონსულტაციას სასწავლო პროცესის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (საჭიროების შემთხვევაში) ოპტიმალურად დაგეგმვის და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან (2022 წლის სექტემბრიდან არის დანიშნული აღნიშნულ თანამდებობაზე) ინტერვიუზე გამოიკვეთა პრობლემა მათ შორის ფუნქცია - მოვალეობების გადანაწილებასა და შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულობასთან დაკავშირებით. თანახელმძღვანელი ამ ეტაპზე არაა ჩართული თვითშეფასების პროცესში.

<u>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)</u>	<u>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</u>	<u>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი⁶</u>	<u>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი⁷</u>	<u>მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი</u>
<u>სულ აკადემიური პერსონალი</u>	16	11	11	5
<u>- პროფესორი</u>	3	1	1	3

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასოცირებული პროფესორი	12	4	4	2
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	8	5	5	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრუქტურული ერთეულების დებულებები (<https://sdasu.edu.ge/ka/chven-shesakheb/normatiuli-baza>);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ხელშეკრულების ფორმები;
- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების მკვეთრად გამიჯვნა და დელეგირება, რაც პროგრამის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.
- მოწვეული პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის თვითშეფასებისა და განვითარების პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☐	x	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			

მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის და პერსონალის მართვის სამსახურის მიერ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა/დაფინანსდა ტრენინგები: „აკადემიური პლაგიატი, მისი გამოვლენა და პრევენცია“; „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ღირებულებითი განათლების მეთოდოლოგია“, „საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა“ ; „ელსევიერას ბაზების (Scopus, Science Direct და Scival Fiunding(Funding Institutional) მოხმარება“; „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“და სხვ. ასევე, აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა კომპანია Strikeplagiarism-ის მიერ გამართულ ვებინარში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, 2019 წლის შემდეგ ახალი ტრენინგები ან პროფესიული განვითარების სხვა აქტივობები არ განხორციელებულა, რაც დადასტურდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუების დროსაც.

აკადემიური პერსონალის კვლევით სივრცეში ინტეგრაციისა და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში ხორციელდება სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობა. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება კონფერენცია და იბეჭდება წაკითხულ მოხსენებათა კრებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციებითა და პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროგრამის ფარგლებში არ ხორციელდება არანაირი აქტივობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შეფასების ფორმები, რომელთა მიხედვით აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს აფასებს როგორც ადმინისტრაცია, ისე სტუდენტი. თვითშეფასების

დოკუმენტში მოცემულია სპეციალური კითხვარები – სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების მიზნით, რომელსაც სემესტრის ბოლოს სტუდენტი ანონიმურად უნდა ავსებდეს. სტუდენტებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს პრაქტიკა აღარ განხორციელებულა (შესაბამისი რეკომენდაცია იხ. ქვესტანდარტ 5.3-ში).

სდასუ-ში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობას. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი გამოყენების მექანიზმების დახვეწა, რისთვისაც შემუშავებულია სდასუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი, რომლითაც განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური სავალდებულო მოთხოვნები, განსაზღვრულია შეფასების შემადგენელი კომპონენტები, დადგენილია შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების ღონისძიებები. იგი ასევე ითვალისწინებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის, მათი ინტერვიუებისა და სხვადასხვა აკადემიური აქტივობის შედეგებს; ასევე, საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობას; სამსახურებრივ ან /და კორპორაციულ პასუხისმგებლობას; სკოლის საბჭოს სხდომებში მონაწილეობას; სადისერტაციო საბჭოს სხდომებში მონაწილეობას; აკადემიური საბჭოს სხდომებში მონაწილეობას; სხვადასხვა საუნივერსიტეტო სამუშაო ჯგუფებში /კომისიებში მონაწილეობას. დოკუმენტის მიხედვით, დაჯამებული შედეგების ანალიზი, ასევე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ანგარიშის სახით გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ერთად იგეგმება შედეგების გაანალიზებისას აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარისხის სკოლის დეკანი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს, პერსონალის შესაბამისი წარმომადგენლების მიმართ შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიების გამოყენების შესახებ. როგორც ინტერვიუების დროს გამოკვეთა, მოცემული პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის კვლევითი მუშაობის მხარდასაჭერი აქტივობები (მაგალითად როგორცაა წახალისება, ან კვლევის ფინანსური მხარდაჭერა) არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ჩატარებული კონფერენციების პროგრამები და კრებულები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მუშაობა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების და კვლევითი მუშაობის მხარდასაჭერი აქტივობების უზრუნველყოფის მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროფესიული განვითარება				
---------------------------	--	--	--	--

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დაწესებულებაში განხორციელებულმა ვიზიტმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, კომპიუტერული ცენტრები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზები, უახლესი ტექნიკითა და აპარატურით აღჭურვილი ავტორიზებული ტელევიზია - სდასუ TV, ხმის ჩამწერი სტუდია და სხვ. ზემოთ ჩამოთვლილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს დადასტურდა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზით. ბიბლიოთეკა მოიცავს: ა) მომსახურების სივრცეს, რომელშიც ხორციელდება მკითხველთა რეგისტრაცია და მომსახურება, საბიბლიოთეკო დოკუმენტების გაცემა და გაცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაბრუნება; ბ) სამკითხველო დარბაზები, რომლებშიც განლაგებულია სამკითხველო ფონდები; დარბაზები აჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით. გ) ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე; დ) შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე; ე)

ინდივიდუალური მუშაობის სივრცე; ვ) წიგნსაცავები. უნივერსიტეტში არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი „open biblio“. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ მართვის ელექტრონული სისტემით www.emis.sdasu.edu.ge, რომელიც აგრეთვე უზრუნველყოფს ელექტრონული კატალოგის მომსახურებას.

ასევე ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: Cambridge Journals Online (Cambridge Core - Journals & Books Online | Cambridge University Press); eDuke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); IMF eLibrary (<https://www.elibrary.imf.org/?redirect=true>); Royal Society Journals Collection (<https://www.royalsociety.org/journals/>); SAGE Premier (<https://www.journals.sagepub.com/>), რომლებიც საშალებას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსი ძირითადად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, თუმცა ზოგიერთი სახელმძღვანელო ძველი რედაქციითაა წარმოდგენილი (იხ. რეკომენდაცია ქვესტანდარტ 1.4) მასალების, რესურსების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია უნივერსიტეტის პორტალზე.

ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობის შესახებ. ასევე, სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ ისინი ინფორმირებულები არიან, თუ როგორ შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრი, თავისუფალი სივრცეები. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას (საორენტაციო შეხვედრები, კონსულტაციები და ა.შ.). ბიბლიოთეკის დებულება განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის დებულება
- <https://sdasu.edu.ge/ka/chven-shesakheb/normatiuli-baza>;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა www.sdasu.ini.ge;
- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები;

- უნივერსიტეტის ტელევიზიის სტუდია;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კატალოგი და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ელექტრონული ბაზები;
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასები დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამის აკრედიტაციისთვის გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში ხელმისაწვდომია ინფორმაცია ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტის შესახებ, რომლის მიხედვით, სდასუ-ს სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა არსებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების, წიგნადი ფონდისა და სასწავლო მასალის განახლების, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების, სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსების, სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერისა და სხვა აქტივობების ერთიანი ხარჯები. წარმოდგენილი ბიუჯეტიდან გაურკვეველია და ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა ინფორმაცია ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ადმინისტრაცია დაინტერესებულია პროგრამის მდგრადობით და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამას ფინანსური დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტის ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან და რომ პროგრამის დამატებითი ფინანსური საჭიროებები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდებითაც. ადმინისტრაციის მიერ ინტერვიუზე მოწოდებული ინფორმაციით, ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მხარდაჭერა. უნივერსიტეტს გააჩნია დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომლებითაც უზრუნველყოფილია რისკების მართვა საჭიროების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტი;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ჩატარებული ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- საფინანსო სამსახურის დებულება
<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/06/14/8e211d6200dcd11a2a2b2e8ee402775e.pdf>
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სკოლის ბიუჯეტში დაზუსტდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების საპროგნოზო მოცულობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით“ და მის შესრულებას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ და „საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები“.

აღნიშული დოკუმენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სხვა დოკუმენტების შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძვნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ და გულისხმობს (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს და ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული პროცედურა არსებობს, თუმცა, ერთიანი ციკლი დარღვეულია ბოლო წლებში პრაქტიკაში მისი განხორციელების თვალსაზრისით. კერძოდ, ხარისხის სამსახურთან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ ბოლო წლების განმავლობაში არ განხორციელებულა მაგ. სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო კურსით, ასევე კურსის განმახორციელებლის შეფასების მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუებზე

გაჟღერდა სასწავლო პროცესის არაფორმალური გზებით მონიტორინგის შემთხვევები, რაც თავის მხრივ მისაღებია, თუმცა, აღნიშნული ეხება ზოგადი კმაყოფილების შეფასებას და არ ფარავს პროგრამის შინაარსობრივი მხარის შეფასებას დაინტერესებული მხარეების მხრიდან. კერძოდ, მონიტორინგის და მიღებული შედეგების პროგრამის გაუმჯობესების პროცესში გამოყენების კუთხით.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადებისა და გაუმჯობესების პროცესში თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს. თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და ადმინისტრაციული პერსონალი. პროცესში მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლის ჩართულობა არ დადასტურდა ინტერვიუების დროს წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეების მიერ, თუმცა გამოითქვა მზაობა შემდგომი თანამშრომლობისთვის.

ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების პერიოდში მოხდა ელექტრონული სასწავლო პლატფორმის ინტეგრირება. არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი ცვლილებები სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამჟამად არ მიმდინარეობს/არ იგეგმება სასწავლო პროცესში დისტანციური სწავლების ელემენტების შემოტანა (იგულისხმება უცხოელი პროფესორის მიერ სხვა ქვეყნიდან სასწავლო პროცესის წარმართვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები

- გამოკითხვის შედეგები (კითხვარები);
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოხდეს სტუდენტთა მიერ კურსების და პროგრამის/განმახორციელებელი პერსონალის ყოველსემესტრული შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების პროცესში;
- რეკომენდებულია, დამსაქმებლისა და მოწვეული პერსონალის მეტად ჩართულობა უშუალოდ პროგრამის შეფასების პროცესში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შეფასება განხორციელდა და პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წელს.

ასევე, განხორციელდა დაწესებულების შეფასება ავტორიზაციის საბჭოს მიერ და მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით 2018 წელს.

უნივერსიტეტი განიხილავს და ითვალისწინებს აკრედიტაციის/ავტორიზაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს;

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში არაა წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასება დარგის ადგილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების/კოლეგების მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამა;
- 2011 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (01-1740; 22.11.11);
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის განვითარების მიზნით მოხდეს პროგრამის შეფასება დარგის ადგილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ 2021 წლის 25 დეკემბრის აკადემიური საბჭოს N7 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა“, ასევე, პროგრამისა და სილაბუსის შეფასების ფორმები. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით განისაზღვრება პროგრამის ინიცირების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის და პერიოდული შეფასებების პროცედურები. თითოეული პროგრამისთვის იქმნება პროგრამის სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის მიერ განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასება/ანალიზზე. შესაბამისად პერიოდულად ტარდება პროგრამის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით. შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს -სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებას შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. შედეგების

შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს - როგორც სტუდენტების, ასევე სხვა დაინტერესებული პირების დამოკიდებულების შესწავლას, რომლისთვისაც განსაზღვრულია შემდეგი შეფასების ფორმები: კითხვარები, ბაზრის კვლევა, ფოკუს ჯგუფები და სხვა. პროგრამი შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასებების პერიოდულობაც.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს გამოკითხვების (აკადემიური პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა) შედეგების ანალიზის ამსახველი დოკუმენტები. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა აღნიშნული კითხვარები არ გამოყენებულა ბოლო წლების (2 წლის) განმავლობაში (მათ შორის არ განხორციელებულა სასწავლო კურსის/ლექტორის შეფასებები). შესაბამისად, პროგრამის მუდმივი შეფასების მიზნით, მიზანშეწონილია მათი სისტემატური გამოყენება და შედეგების გათვალისწინება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

დამსაქმებელთა ჩართულობის მაჩვენებლად, უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი, რომელიც არ არის ფოკუსირებული პროგრამის სპეციფიკაზე და იკვლევს მხოლოდ ინგლისური ენის მცოდნე პირთა დასაქმების მახასიათებლებს. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ აღნიშნული დოკუმენტის შედეგების გამოყენება თითქმის არ მომხდარა პროგრამის განვითარების პროცესში. ასევე, არ დასტურდება ინტერვიუს დროს წარმოდგენილი დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში (დეტალური ინფორმაცია შესაბამისი რეკომენდაციით იხ. 1.2 ქვესტადარტში).

იმავე დოკუმენტში განხილულია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგიური პროგრამები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის წარმოდგენილი პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფდა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების გზით. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობისას მოხდა ერთ-ერთი საერთაშორისო უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის განხილვა, მაგრამ არ კონკრეტდება თუ რომელ უნივერსიტეტზეა საუბარი. ასევე, ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ეს ფაქტი გულისხმობდა მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გადახედვას, პროგრამის კურიკულუმის სიღრმისეული ანალიზისა, შედარების და შესაბამისი დოკუმენტის შემუშავების გარეშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კითხვარების შედეგები;
- ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემატური გამოყენება პროგრამის მონიტორინგის პროცესში, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით;
- პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პროგრამის პერიოდული შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ინგა დიაკონიძე



აკრედიტაციის

ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ლევიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკატერინე ფიფია



სახელი, გვარი, ხელმოწერა

სოფიო ბაზაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანა მჭედლიშვილი

